645
1992

ISSN 0321—1509

# საქართველოს ქალი



11.1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- მარიკა ბარათაშვილი,
- ნაზი თარგამაძე,
- ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნაზი კილასონია,
- ლაშა კიკალეიშვილი,
- ბუჩა კვარაცხელია,
- ნანული ცაგარეიშვილი,
- ცინარა ტერელაძე, (მხატვრული რედაქტორი),
- ირმა ჩოფიკაშვილი,
- ნინო ჯავახიშვილი,
- ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — ნინო სუხიშვილი

ნომრის ფოტოები დავით იაკობაშვილის

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო",
მ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magasine for Women of the
Republic of Georgia

# წაიკითხეთ ნომერში:

საქართველოსთვის სულსაც არ დავიშურებ

ნუ მიატოვებთ ასეთ ბავშვებს!

საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა. სიცოცხლე სიყვარულით იწყება

პრაქტიკული მშობლებისათვის; ბავშვი და სპორტი

ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია

მსხვერპლი სამშობლოს გულისთვის

ნუ დაღონდებით! ყველა ქალს შეუძლია მომხიბვლელი იყოს

შინაბერას დაბადების დღე. იუმორი

თამაზ ნატროშვილი
შეხვედრა ყაბვინის გზაზე. ნაწყვეტი რომანიდან

გიორგი ლობჟანიძე
სპარსული პოეზია. ახალი თარგმანები

იხარა ფესვმა

რუბრიკის პრემიერა: ნატვრის ხე. ჩემი ნება რომ იყოს...

ხელსაქმე: პულოვერი რელიეფური ნახატით. ბავშვის ბლუზონი

თავშესაქცევი გამოკვლევები

---

გთხოვთ მანქანაზე გადაბეჭდილ 7 გვერდზე მეტ მასალას ნუ შემოგვთავაზებთ.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო და ერი უნდა გამთლიანდეს!





4 ნოემბერი, 1992 წელი

დრო — რთული, დაძაბული.

გაჭირვება — მომძლავრებული.

საზოგადოებრივი აზრი — არაერთგვაროვანი.

მოლოდინი — მძაფრი.

მთელი საქართველო — ტელევიზიის ეკრანებთან.

ყველა სხვა პრობლემა — დროებით გვერდზე გადადებული.

საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა სახელმწიფო საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ამას ველოდით.

ზოგი მოთმინებით, ზოგი ხელჩაქნევით, უმრავლესობა — იმედით.

ახლა ეს იმედი აგერ ჩვენს თვალწინ ფეხს იდგამს, ღონიერდება. ზოგჯერ ჩაიჩოქებს, მაგრამ მალე წამოდგება, ბილიკებიდან შარაზე გადის, ხმას იწმენდს.

ეს მთელი საქართველოს ხმაა, რადგან ამ დარბაზში სხედან 1992 წლის 11 ოქტომბერს მრავალპარტიულ საფუძველზე არჩეული პარლამენტარები, რომლებიც წარმოადგენენ ოთხ საარჩევნო ბლოკს, ოც პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას. მოწვეულთა შორის არიან რესპუბლიკის მთავრობის წევრები, უცხოეთის ქვეყნების ელჩები საქართველოში, ჟურნალისტები.

პრობლემები — ურთულესი.

საკეთებელი — ზღვა.

პარლამენტართა დაფიქრებული სახეები იმისი დასტურია, რომ გასიგრძეგანებული აქვთ ის ჭეშმარიტება, რაც ბრძანა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ: „თქვენ დღეს იკისრეთ ერის ჯვარი და სრულიად საქართველოს ტკივილი... თქვენ ძალიან ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი.

— საქართველო და ერი უნდა გამთლიანდეს".

აი, ყველაზე მთავარი საკეთებელი.

ოღონდაც!

პარლამენტი მუშაობას განაგრძობს.

ნარგიზა მგელაძე










საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლტოლვილები: იჭვები, იმედები

# რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია

ომია საქართველოში და ქვეყნად მისი კანონები ბატონობს: განუკითხაობა, შიმშილი, სისასტიკე, ცხოვრება რაღაც ინერციით თუ გრძელდება, ქართული მიწიდან ქართველობისათვის დევნილნი დედაქალაქს აფარებენ თავს. გაივლის დრო. დანგრეულს ავაშენებთ, იარებს მოვიშუშებთ, ღიმილსაც დავიბრუნებთ. ეს ყველაფერი იქნება, მაგრამ ახლა...

— მე და ჩემმა შვილმა ძლივს გამოვასწარით გაგრიდან. სახლ-კარი გადაგვიწვეს. ქმარი, ძმა, მშობლები იქ დარჩნენ. არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ არა. ნეტავი მოვმკვდარიყავი და ასე სხვის კარზე სამოწყალოდ არ დავრჩენილიყავი, — სიკვდილს გამოქცეული ქალი მაინც სიკვდილს ნატრობს. შიში ჩასახლებია თვალებში, შიში და უნდობლობა.

* * *

ქართველს ბევრი რამ შეიძლება დააბრალო, მაგრამ გაჭირვებაში მყოფს ბედის ანაბარად არ დატოვებს, თავის ჭერქვეშ შეიფარებს, ლუკმას გაუყოფს.

ღვთისგან განწირულნი არ ვყოფილვართ, რადგან ჯერ კიდევ შეგვძლებია ერთმანეთის ჭირის გაზიარება, ერთმანეთის თანადგომა, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ეხმარება ლტოლვილებს.

* * *

— სხვანაირი წარმოდგენა მქონდა თბილისელებზე. ცოტა ცივი, ქედმაღალი ხალხი მეგონა. თურმე რა ჩვეულებრივები ყოფილხართ. გაგრიდან რომ ჩამოვედი, ერთხანს ქუჩაში დავბორიალებდი. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. სრულიად უცნობმა ოჯახმა შემიფარა. იმას ვნატრობ, მათი სიკეთის გადახდა შევძლო, — ამბობს ახალგაზრდა ქალი, რომელმაც დროებითი თავშესაფარი „ივერიაში" ჰპოვა, თან ბავშვი ჩაუკრავს გულში, თითქოს ეშინია, ვინმემ ხელიდან არ გამომტაცოსო.

— იმას რატომ არ ეუბნები, რას გვაჭმევენ. ამით გვაგრძნობინებენ, ადექით და წადითო. სად? — ამბობს ერთი, კვერს უკრავს მეორე, მესამე...

უაღრესად მძიმეა ლტოლვილის ბედი. ნურავის გამოაცდევინოს ღმერთმა, გაჭირვებამ ათქმევინა მათ ეს საყვედურებიც. ვუსმენდი მათ და უნებურად ერთი მარტოხელა თბილისელის სიტყვები გამახსენდა:

— რამდენი ხანია სადილი არ გამიკეთებია. ჩაიში პურს ვალბობდი და ისე გამქონდა თავი. ახლა კი პურსაც ძლივს ვყიდულობ...

ასე რომ, შევუნდოთ მასპინძლებს მწირი ტრაპეზი, რომელიც საერთო გაჭირვების შედეგია მხოლოდ.

* * *

რაც დღეს უბედურება გვჭირს, ბევრი რამ ჩვენივე გათიშულობის, დაქსაქსულობის შედეგიცაა. ახლა ვისაც და რასაც უნდა დავაბრალოთ, ერთი რამ ფაქტია: კატასტროფის წინაშე დავდექით, შუაზე გავიხლიჩეთ, ქალაქი სოფელს დაუპირისპირდა, უბანი-უბანს, ძმა-ძმას. იქამდეც მივედით, აფხაზეთიდან მომავალ ნაომარ ბიჭებს მოძმემ მოუსწრაფა სიცოცხლე...

თუმცა, ვგონებ, ვიწყებთ გამოფხიზლებას...

* * *

ფრთხილი, მშფოთვარე ძილით სძინავს თბილისს. ღამის მდუმარებას ბიჭების სიმღერა არღვევს.

— სინდისი აღარა გაქვთ? თქვენი ტოლები აფხაზეთში იხოცებიან, თქვენ კი... — ისმის საიდანღაც.

— ხვალ ჩვენც აფხაზეთში მივდივართ, დეიდა, — პასუხობს ერთი.

მიძინებულმა გენმა თუ გაიღვიძა ჩვენში. სიმღერით მიდიან ომში ღიმილის ბიჭები და ჩვენი სიმშვიდეც თან მიაქვთ.

— არსად არ გავუშვებ ჩემს ბავშვს. გაუშვან, ბატონო, თავიანთი შვილები, რატომ არ უშვებენ?

ეს სიტყვები თქვენც გაგიგონიათ. არაფერს იშურებენ, ოღონდ დედის კალთასამოფარებული ბიჭები შინ დატოვონ. ზოგიერთისათვის მოღალატის და ლაჩრის სამარცხვინო სახელი მძიმე არ ყოფილა... მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ზოგიერთისათვის და არა ყველასათვის.





ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შაოსანი ქალი ძლივს მიათრევს დიდ ჩანთას.

—ლტოლვილები ხართ, შვილებო? — ეკითხება „ივერიის" ვესტიბიულში თავმოყრილ ახალგაზრდებს, — ორი შვილი გავზარდე. ორივე აფხაზეთში იბრძოდა, ერთი დაიღუპა. ამის ტანსაცმელი მოგიტანეთ. ერთ წუთსაც ნუ გაჩერდებით აქ. თქვენი სახლ-კარი პირველ რიგში, თქვენ უნდა დაიცვათ. წადით, დღესვე წადით. თქვენთვის ვილოცებ დღე და ღამე.

* * *

ომმა სხვა უბედურებასთან ერთად უამრავი უპასუხო კითხვაც მოგვიტანა. სწორედ ამ კითხვებმა მიმიყვანა პარლამენტის წევრთან ბატონ **თამაზ ნადარეიშვილთან.**

— მეც ლტოლვილი ვარ, — გვეღიმა ბ-ნ თამაზს (უცნაურია, საიდან გვაქვს ქართველებს იმდენი ძალა, რომ ათასჭირგამოვლილებმა კვლავ გავიღიმოთ) — ამდენად ლტოლვილთა ხვედრს მეც ვიზიარებ. წარმოიდგინეთ მდგომარეობა იმ ადამიანებისა, რომლებსაც თვალწინ დაუხოცეს ახლობლები, გადაუწვეს სახლ-კარი, თავად კი ძლივს გამოასწრეს სიკვდილს. დღეს ბევრი რამ კეთდება მათ დასახმარებლად. სპეციალური კომიტეტიც შეიქმნა. ამას გარდა, თბილისელებიც დიდ ყურადღებას იჩენენ ლტოლვილთა მიმართ. მაინც ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი,

**— ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კვების საკითხია, რაც მხოლოდ ლტოლვილებს არ აწუხებთ.**

— დიახ, სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ნაწილი შიმშილის ზღვარზეა, მაგრამ ძნელია ამგვარი არგუმენტებით დაამშვიდო დედა, რომელსაც ერთი კოვზი შაქარი არა აქვს, შვილს ჩაი რომ დაალევინოს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ხალხი რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ მათი სახლების უმეტესობა გაძარცვული და გადამწვარია, მზად არიან დღესვე დაბრუნდნენ გაგრაში.

**— ლტოლვილთა განწყობა და აზრი თქვენ უკეთ გეცოდინებათ. ერთნი ამბობენ, რომ აფხაზეთიდან წამოსული მამაკაცებით სავსეა ქალაქი. მეორენი იმასაც ამბობენ, ლტოლვილები ბინებს ეძებენ საყიდლად დედაქალაქის პრესტიჟულ უბნებშიო...**

— კარგი და ცუდი ყველგან არის. გამორიცხული არაა ერთი-ორი, გნებავთ ათი ოჯახი მართლაც დამკვიდრდეს თბილისში, მაგრამ მე უმრავლესობის აზრს მოგახსენებთ. მიწის ერთ გოჯსაც არ დავუთმობთ მტერს. გაგრელებმა სპეციალური ბატალიონი შევქმენით. მებრძოლთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და კვლავაც გაიზრდება. გაგრაში პირველად გაგრელები უნდა შევიდეთ. ეს ჩვენი ვალია და ამას გავაკეთებთ, რაც უნდა დაგვიჯდეს, მაგრამ თუ მთელი საქართველო გვერდით არ დაგვიდგა, საბოლოო გამარჯვებას ვერ მოვიპოვებთ. დღეს თუ აფხაზეთი დავთმეთ, ხვალ მტერი თბილისსაც მოადგება.

**— მსხვერპლი დიდია და ამბობენ, რომ დაღუპულთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, ჩვენი მეომრები სათანადოდ მომზადებულები რომ ყოფილიყვნენო. ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა თქვენს ბატალიონში?**

— სამწუხაროდ, რაც მოხდა, ჩვენივე უდისციპლინობის, უპასუხისმგებლობის და გამოუცდელობის შედეგია. მოღალატეებიც აღმოჩნდნენ ჩვენს გვერდით. აფხაზეთში ბევრი ისეთი ჩამოვიდა საბრძოლველად, რომელმაც სროლაც არ იცოდა, სამხედრო გამოცდილებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. გასაგებია, მათი პატრიოტული გრძნობები, მაგრამ უაზრო მსხვერპლი ვის სჭირდება? ჩვენი ბატალიონის მებრძოლები სათანადო მომზადებას გადიან. მათი შემართება, სულისკვეთება, საბრძოლო მზადყოფნა მათქმევინებს, „რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია"

**მარინე ნაკაიძე**



## რუბრიკის პრემიერა — ნატვრის ხე

გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ნატვრის ხე". სადაც ჩვენი შვილების გულისთქმა, სურვილები დაიბეჭდება. სათქმელი კი მართლაც ბევრი აქვთ. ჩვენ, უფროსებს არ გვაწყენს დროდადრო ყური მივუგდოთ მათ.

# ჩემი ნება რომ იყოს...

ჩემი ნება რომ იყოს, სულ სხვანაირი იქნებოდა ეს ქვეყანა. არ იქნებოდნენ ბოროტი ადამიანები. წავიდოდი უღრან ტყეში, მოვძებნიდი სასაცილო, ბაჭბაჭა დათვის ბელს, რომელიც ცხოველთა და ფრინველთა ენას მასწავლიდა. მერე მთელი მსოფლიოს ბავშვებს მოვიხმობდი ჩემთან.

ავაშენებდით ერთ დიდ, ლამაზ გემს და მას „ბავშვობის ოცნებებს" დავარქმევდით. ამ გემით ზღვებს და ოკეანეებს გადავცურავდით და უკაცრიელ კუნძულზე დავსახლდებოდით. მთელ დღეს თამაშსა და მხიარულებაში გავატარებდით, საღამოს კი კოცონს შემოვუსხდებოდით და მშობლებს წერილს გავუგზავნიდით, მივწერდით, რომ მოგვბეზრდა ამდენი ბოროტება, შური, ერთმანეთის გაუტანლობა, რომ მოგვენატრა უდარდელი ბავშვობა, მოყვასის სიყვარული და რომ აღარ გვინდა ომი. ერთმანეთს გავუზიარებდით ტკივილებს და დარდიც გაქრებოდა. ვიმღერებდით სიყვარულზე, სიკეთეზე, შემდეგ კი დაღლილებს, ერთმანეთის მხრებზე თავმიყრდნობილებს ჩაგვეძინებოდა და ლამაზ, ფერად სიზმრებს ვნახავდით.

პატარა დელფინი ამ წერილს ჩვენს მშობლებს მიუტანდა. ისინი წაიკითხავდნენ, დაფიქრდებოდნენ და მიხვდებოდნენ, რამდენი სითბო მოაკლეს შვილებს. ერთი-ორი დღე მოითმენდნენ, მაგრამ მერე მონატრება სულსა და გულს აუფორიაქებდათ. ჩვენი მშობლები ერთად შეიკრიბებოდნენ, შერიგდებოდნენ, ისინიც შემოუსხდებოდნენ კოცონს და წერილს მოგვწერდნენ, რომ ვაპატიოთ მათი შეცდომები, რომ დავივიწყოთ მათ მიერ მოყენებული ტკივილები და შინ დაბრუნებას გვთხოვდნენ. ჩვენ დავუჯერებდით მათ, ორივე მხრიდან დავიწყებდით ხიდის შენებას, როცა ხიდის კიდეები შეერთდებოდა, ჩავეხვეოდით ერთმანეთს და ყველანი ბედნიერები ვიქნებოდით. ამ დღიდან დედამიწა გახდებოდა სითბოს, სიხარულის და სიყვარულის პლანეტა... ჩემი ნება რომ იყოს, სულ სხვანაირი იქნებოდა ეს ქვეყანა.

**თამუნა ბაქრაძე**



# იხარა ფესვმა

ეს მომხიბლავი ქალიშვილი ნინო თენგიზის ასული სუხიშვილია. იგი მრავალმხრივი ნიჭით არის დაჯილდოებული. როგორც მხატვარი, გატაცებით მუშაობს კერამიკაში — დეკორატიულ-პლასტიკური ფორმების, მცირე ქანდაკებებისა და კერამიკული ჭურჭლის შექმნაზე. წელს ნინომ სამი თვე დაჰყო ჩიკაგოში, სადაც მონაწილეობდა მსოფლიო საერთაშორისო გამოფენაზე „ახალი ფორმები". აქ წარმოდგენილმა მისმა ნამუშევრებმა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

რაც მთავარია, ნინო ოჯახის ტრადიციის გულმხურვალე გამგრძელებელია. გასაკვირი იქნებოდა მასში არ ემძლავრა გენს და სახელოვანი ბებიისა და ბაბუის ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შვილიშვილს, შესანიშნავი მოცეკვავეების ინგა თევზაძისა და თენგიზ სუხიშვილის ქალიშვილს ცეკვა თავდავიწყებამდე არ ჰყვარებოდა და პროფესიულად არ შეესწავლა იგი.

ნინო, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის წევრი, ამავე დროს მისი მხატვარ-გამფორმებელია. ამ საქმეში იგი დააოსტატა უბადლო სოლიკო ვირსალაძემ, რომლის სიცოცხლეშიც ნინო მისი ასისტენტი იყო.

იხარა ფესვმა. სუხიშვილების ოჯახში ყველანი ცეკვისადმი დიდი სიყვარულით ცხოვრობენ. თენგიზ სუხიშვილის ვაჟიშვილი ილიკო სუხიშვილი მოსკოვის თეატრალური აკადემიის ქორეოგრაფიის სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობს. დაძმა ნინო და ილიკო სუხიშვილები თავიანთ მთავარ სათქმელს მომავალში იტყვიან... და კარგად რომ იტყვიან, ამის გარანტი გახლავთ ის დიდი პასუხისმგებლობა და ღრმა პროფესიული ინტერესი, რომელსაც უმცროსი ნინო და უმცროსი ილიკო სწავლისა, მუშაობისა და პროფესიული წვრთნისადმი იჩენენ.

დ. ბდივნიშვილი





მამა-შვილი ნინო და თენგიზ სუხიშვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა





# საიდუმლო საიდუმლოდ დარჩა

სანამ საიდუმლოს გავამხელდეთ, ძველებურ არაკს მოგიყვებით.

უხსოვარ დროს ადამიანთა წინაპრებს მრგვალი ტანი, ოთხი ხელი, ამდენივე ფეხი, ორი წყვილი თვალი, ამდენივე ყური, ორ-ორი სარცხვინელი ჰქონდათ. იყვნენ ისეთებიც, ქალისა და კაცის ნიშნებს რომ აერთიანებდნენ. მათაც ორი სარცხვინელი ჰქონდათ, მაგრამ საწინააღმდეგო სქესისა. ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. თუ სადმე ეჩქარებოდათ, ხელებაწეულნი ბორბალივით დატრიალდებოდნენ და დიდი სიჩქარით დარბოდნენ. მათ ძალა ერჩოდათ და ღმერთებთან შებმაც კი განიზრახეს.

განრისხებულმა ზევსმა ისინი „სამურაბე კომშივით შუა-შუა გაჭრა", რის შედეგადაც, ერთი მამრობითი არსებიდან ორი კაცი გამოვიდა, მდედრობითიდან ორი ქალი, ხოლო თავდაპირველი ორსქესიანი არსებიდან — ცალკე ქალი და ცალკე კაცი. ამით ზევსმა ისინი ადამიანებად აქცია და გააფრთხილა: თუ არ დაშოშმინდებით, ისევ შუაზე გაგჭრით და ცალ ფეხზე გახტუნავებთო. სხვა რა გზა იყო... დამორჩილდნენ და ყველა თავისი გზით წავიდა.

მაგრამ ჩქარა მიხვდნენ, რომ თურმე ცალცალკე არსებობა არ შეუძლიათ, რადგან გაუნელებელი სევდა იპყრობთ დაკარგული მეორე ნახევრის გამო. ამ სევდამ მათში წარმოშვა ურთიერთშერწყმის, ადრინდელი მთლიანობის აღდგენის დაუძლეველი სურვილი. შერწყმის ეს სურვილი კაცისაგან ქალის წიაღში შეღწევით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ასე ისწავლა ადამიანმა ხორციელი სიყვარული, რომელიც დროებით აქარვებს მარტოობის სევდას, გახლეჩილი სულის მონატრებას. მაშ, ადამიანის წინაპარს სული ჰქონია და მისი სამუდამო განცალკევება ზევსსაც კი ვერ მოუხერხებია. მაშ, სულია, ხორციელი სიყვარულით ხელახლა გამთლიანებას რომ ცდილობს?

ახლა გავიხსენოთ ორი ლიტერატურული შედევრი.

პირველის პერსონაჟია საქვეყნოდ ცნობილი დონ-ჟუანი, ქალთა მაცდუნებელი და მათი გულების მპყრობელი, დაუღალავი მოარშიყე, ყოველთვის რომ ესწრაფვის და ვერასოდეს აღწევს ბოლომდე შეიცნოს სიყვარულის არსი, მისი საიდუმლო. დონ-ჟუანი დაეძებს, სინჯავს, ადარებს, მაგრამ ამაოდ. სუსტი მამაკაცი იყო, სიყვარული არ შეეძლო და იმიტომ ვერ პოულობდა გულისსწორს. არა მგონია. ამგვარი აზრი „ძლიერ მამაკაცს" მოუვიდეს თავში. განა ადვილია ამ თვალუწვდენელ დედამიწაზე შენი, უხსოვარ დროს დაკარგული მეორე ნახევარი იპოვო? საბრალო დონ-ჟუანი, მთელი ცხოვრება ეძებდა, ამოუწურავი მამაკაცური ძალა ჰქონდა, სხვა მამაკაცებზე ასჯერ მეტი შანსი ჰქონდა და მაინც ვერ იპოვა! რომ ეპოვა? რომ ეპოვა, დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტ, სულიერ სიყვარულს ეზიარებოდა და მის დონ-ჟუანობასაც ბოლო მოეღებოდა.

მეორე ლიტერატურულ შედევრს ორი პერსონაჟი ჰყავს — რომეო და ჯულიეტა, რომელთა სამტროდ გადაკიდებული ოჯახებისათვის გაუგებარია მათი თავგანწირული სიყვარული. მართლაც, ძნელია გაიაზრო, რა მოხდა იმ საბედისწერო წამს, პირველად რომ ერთმანეთი იხილეს? თითქოს არაფერი განსაკუთრებული; 15 წლის ქალიშვილს და 17 წლის ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ. მაგრამ შექსპირის გენია ამ ჩვეულებრივ ამბავში სიყვარულის სიღრმეს, მის საიდუმლოს გვიმჟღავნებს: ყველაფერი მათი ნების გარეშე ხდება: ბედისწერამ მათ ერთმანეთი აპოვნინა; ისინი ხომ ერთმანეთის ნაწილები არიან, ისინი ხომ ზევსმა გაჰყო უხსოვარ დროს? ახლა სულიერი მთლიანობა აღდგა; ესაა სიყვარულის საიდუმლო და. თუ ამას იქით, ვინმე განიზრახავს მათ ხელახლა დაშორებას, ისინი უერთმანეთოდ სიცოცხლეს აღარ ისურვებენ. ასეც ხდება: ტრაგედიაში სიყვარული იმარჯვებს; რომეო და ჯულიეტა საკუთარ სიყვარულს ეწირებიან, რადგან სიყვარული მარადიულია, ის სიკვდილსაც კი ამარცხებს. და თურმე რანაირია ერთი არსებიდან წარმოქმნილი ქალური და კაცური საწყისის, სულთა შეხვედრის ბედნიერება და უიშვიათესი გამონაკლისი!

ახლა გადავინაცვლოთ სულ სხვა სინამდვილეში.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში, საბერძნეთში, კუნძულ ლესბოსზე მცხოვრებმა პოეტმა ქალმა საფომ, ქალის ქალისადმი სიყვარულს უმღერა. ამ მოვლენას ლესბოსური სიყვარული დაერქვა. ის უხსოვარი დროიდან მომდინარეობს და ზოგადსაკაცობრიოა. ასევე ძველისძველია ჰომოსექსუალიზმის კლასიკური ნიმუში, — მამაკაცის სექსუალური ლტოლვა მამაკაცისავე მიმართ.

ჩვენს მიერ მოთხრობილი არაკი ამ საიდუმლოსაც ადვილად ხსნის. თურმე, ერთსქესიანი წინაპრისაგან წარმოქმნილი ქალები ერთმანეთს დაეძებენ. ასევე, როგორც ამგვარივე მამაკაცები. თურმე, საწინააღმდეგო სქესი მათ საერთოდ არ აღელვებთ.

ახლა ისიც საკითხავია, თუ ღირდა ამნაირი არსებების შუაზე გაყოფა. რადგან კომში კი დაიჭრა, მაგრამ მურაბა ნამდვილად არ გამოვიდა.

ახლა კი თვით არაკის „საიდუმლოსაც" გავამხელთ:

მე გავიმეორე მითი, რომელიც ძველ ბერძენ ფილოსოფოსს პლატონს არისტოფანეს ენით აქვს გამოთქმული თავის თხზულებაში „ნადიმი". უფრო ადრე, იგივე უფრო ძველ ინდურ ფილოსოფიურ ტრაქტატებში, უპანიშადებშია ნახსენები, ხოლო უფრო ადრე, ბაბილონის უძველეს სახელმწიფოშია გამოთქმული.

პლატონის მიხედვით, ამქვეყნად არსებულ საგნებსა და მოვლენებს, სულიერი საწყისები განაგებენ, რომელნიც სხვა ქვეყანაში, იდეათა სამყაროში ბინადრობენ. სული უკვდავია. ის გარდაცვალების, იდეათა სამყაროში გადასახლების შემდეგაც შეიძლება მოევლინოს ჩვენს სინამდვილეს. სიყვარული სწორედ უკვდავი სულის ამქვეყნიური ხელახალი მოვლინებაა. ამიტომ, პლატონისათვის სექსუალური ურთიერთობა სულაც არ არის აუცილებელი პირობა სიყვარულისა. მთავარი სულია, რომელსაც ხორციელების გარეშე უყვარს. ასეთ სიყვარულს პლატონურ სიყვარულს ეძახიან.

და მაინც, რა აზრი და დანიშნულება აქვს სექსუალურ ურთიერთობას, ეგრეთ წოდებულ ხორციელ სიყვარულს? ის, რომ სულიერთან ერთად იგი ადამიანური სიყვარულის უშუალო გამოხატულება, მისი უსიტყვო აღიარება, სხეულისა და სულის ზეიმია, „ერთ სულ და ერთ ხორც" ქმნის, რაც არაამქვეყნიურ, სიტყვით გამოუთქმელ ემოციურ მდგომარეობას და მთლიან ფსიქოფიზიკურ განტვირთვა-განახლებას იძლევა.

ახლა ყველამ თავისი თქვას და მე კი იმას მოგახსენებთ, რომ პლატონი უცოლოდ გარდაიცვალა, დონ-ჟუანი — უსიყვარულოდ, ხოლო სიყვარულის საიდუმლო ისევ საიდუმლოდ დარჩა.

თენგიზ აბრამიშვილი,
ექიმი-ფსიქიატრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრაქტიკუმი მშობლებისათვის



ფიზიკური ვარჯიში ბავშვის ჯანმრთელობას აუმჯობესებს, ხელს უწყობს მის სწრაფ ზრდას და აკაჟებს ორგანიზმს. დაინტერესებულმა მშობლებმა რამდენიმე კითხვით მიმართეს დოქტორ ენრიკე პონსელს, რუბენ კამპოსს, რომლებმაც სასარგებლო რჩევები მისცა მათ. ვფიქრობთ, რჩევები თქვენც გამოგადგებათ.



**— რა სიკეთე მოაქვს სპორტს ბავშვისთვის?**

— ბავშვებს სჭირდებათ სამყაროს გაცნობა, კუნთების განვითარება, ზრდა და თანატოლებთან ურთიერთობა. სპორტი სწორედ ამისთვისაა საჭირო.

**— სპორტის რა სახეობას ურჩევთ ყველაზე პატარებს?**

— ეს დამოკიდებულია პატარის ასაკზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე. ექვს წლამდე ბავშვებმა, უმჯობესია უბრალო მოძრაობები ისწავლონ და მოქნილები გახდნენ. ამ ასაკამდე მიზანშეწონილია ჯგუფური თამაშები პარკში. მათთვის მიზანშეწონილია ტანვარჯიში, აგრეთვე რამდენიმე წუთით ფეხბურთის ან კალათბურთის თამაში.

**— ექვსი წლის შემდეგ შეიძლება სპორტის სახეობის შეცვლა?**

— ექვსიდან თორმეტ წლამდე ვარჯიშები შეიძლება გართულდეს, მაგრამ მაინც ნაადრევია ჩოგბურთში ან კალათბურთში სერიოზული ვარჯიში. ამ ასაკშიც ყველაზე მიზანშეწონილი ჯგუფური თამაშებია.

**— უნდა ვაიძულოთ თუ არა ბავშვები, რომ ივარჯიშონ?**

— ბავშვი ყოველ დღე რამდენიმე წუთი მაინც უნდა ვარჯიშობდეს. თუ თვითონ არ მიილტვის ამისკენ, უფროსებმა უნდა აიძულონ იგი ირბინოს და ითამაშოს, რადგან უმოძრაოდ ყოფნა ანელებს ზრდის ტემპს, პატარის კუნთებს კი სტიმული სჭირდება განვითარებისთვის.

**— ზოგიერთი ბავშვი განსაკუთრებით ბევრს ვარჯიშობს. სჭირდებათ თუ არა მათ განსაკუთრებული კვება?**

— სპორტის მოყვარულ ბავშვებს დანარჩენებზე მეტი ენერგია აქვთ, ისინი უფრო სწრაფადაც იზრდებიან. მაგრამ ვარჯიშში მათ მთელი დღე მიღებული საკვების კალორიის მხოლოდ 20 % ეხარჯებათ. აქედან გამომდინარე, სპორტსმენ ბავშვს რაიმე განსაკუთრებული კვება არ ესაჭიროება.

**— სპორტის რა სახეობა არ არის სასურველი ბავშვისთვის?**

— როგორც წესი, პატარაობისას არ უნდა ვავარჯიშოთ ძალოსნობაში (შტანგა, ბადროს ტყორცნა, უროს ტყორცნა), არ არის სასურველი დიდ დისტანციაზე სირბილი შეჯიბრზე.

ახლა ბევრი ბავშვი ცდილობს ფილმის გმირებს მიბაძოს და კუნთები განივითაროს. ეს სურვილი, როგორც წესი, თორმეტ წლამდე მიჰყვებათ ხოლმე. ივარჯიშოს, ნუ დაუშლით, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვი ზედმეტად არ დაიტვირთოს, რადგან კუნთების ზედმეტად განვითარებამ შეიძლება სიმაღლეში ზრდა შეაჩეროს.

სპორტის ზოგიერთი სახეობა, რომელიც შეიცავს ბრძოლის ელემენტებს (ჭიდაობა, კრივი, კარატე და ა. შ.) კარგია 7 წლის შემდეგ აგრესიული ბუნების ბავშვებისთვის. ისინი სპორტში ხარჯავენ მოჭარბებულ ენერგიას, სწავლობენ თავდაცვას და უმტკიცდებათ საკუთარი თავის რწმენა. განსაკუთრებით კარგია მორცხვი და მშიშარა ბავშვებისთვის, რომლებიც მშობლებზე არიან დამოკიდებულნი.

**მძლეოსნობა** ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ განვითარებას და ზრდას. არ ვურჩევთ ბავშვებს, რომლებსაც აწუხებთ გული და ფილტვები, ან აქვთ ფეხების დეფორმაცია.

**კალათბურთი** (9 წლიდან). როგორც სპორტის ყველა კოლექტიური სახეობა, ბავშვს უვითარებს კოლექტივიზმის გრძნობას, ასწავლის საკუთარი ინტერესების მოთოკვას მეგობრების სასარგებლოდ. ბავშვი სწავლობს გამარჯვებას და ეჩვევა მარცხს. მას უვითარდება მეტოქის პატივისცემის გრძნობა და იოლად ამყარებს კონტაქტს თანატოლებთან.

**ხელბურთს** (11 წლიდან), **ფეხბურთს** (6-7 წლიდან) დადებითი თვისებები იგივე აქვთ, რაც კალათბურთს. არ არის რეკომენდებული ბავშვებისთვის, რომლებიც სათვალეს ატარებენ ან რომლებსაც თირკმელი აწუხებთ.

**ტანვარჯიში** (8 წლიდან) — ყოველნაირად მიზანშეწონილია ბავშვებისთვის — ასწავლის მათ სხეულის ფლობას, გრაციას, ელეგანტურობას და ლამაზ ჟესტებს. მიზანშეწონილია ყველა ბავშვისთვის.

**ცურვა** (ექვსი თვიდან) — ასწავლის ბავშვს სწორად სუნთქვას, უსწორებს ხერხემალს, უკაჟებს სხეულს და ხელს უწყობს სიმაღლეში ზრდას.

არ არის მიზანშეწონილი ეპილეფსიანი, ასთმიანი, ბრონქიტიანი ბავშვებისთვის და მათთვის, ვისაც მიდრეკილება აქვს რევმატიზმისკენ.

**ჩოგბურთი** (8 წლიდან) მიზანშეწონილია ყველა ბავშვისთვის. მაგიდის ჩოგბურთში (როცა ბავშვი სიმაღლით მაგიდას ასცილდება) ბავშვი ხარჯავს ბევრ ენერგიას, უვითარდება მოქნილობა და ნერვიული სისტემა.

ესპანურიდან თარგმნა
თეა ზვასალია



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

განვაგრძობთ კონსულტაციების ბეჭდვას ერთი წლის ასაკამდე ბავშვების დედებისათვის. მათ შეკითხვებს პასუხობს ჩვენი ექიმი მიროსლავ ჩატოუშეკი.

# როგორ განვსაზღვროთ?

— რა დავალევინო, როცა მოწყურდება?

— ნუ მისცემთ ნურც წვენს, ნურც ტკბილსა და ნურც მჟავეს, არც გამაგრილებელი სასმელია საჭირო, რადგან იგი მადას უკარგავს პატარას. საერთოდაც ჩვენ არ ვართ ზედმეტი სითხის მიცემის მომხრე. მუძუთა ბავშვი მისთვის საჭირო სითხეს ნორმალური საკვებით იღებს და წყლის მიყოლება სულაც არ არის აუცილებელი. მხოლოდ სიცხის დროს, როცა ბავშვი ოფლიანდება, სასურველია ადუღებული წყალი ან ღია ფერის ჩაი (გვირილის, ცაცხვის ან ჩვეულებრივი) მივცეთ და ისიც ჭამის შემდეგ. ისე კი ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ ბავშვი ზედმეტად არ გაოფლიანდეს, ე. ი. ძალზე თბილად არ ჩააცვათ.

— ზედმეტად თბილად ნუ ჩააცმევთო, ამას კი ვპირჩევთ, მაგრამ, როგორ განვსაზღვროთ ზედმეტია თუ არა ვისთვის, რაც აცვია?

— თქვენ ალბათ უფრო მოგეწონებოდათ, რომ არსებობდეს ტაბულა, ვთქვათ, რა ჩააცვათ ბავშვს 15° ტემპერატურის დროს, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმის ტაბულის ჩარჩოში ჩასმა შეუძლებელია.

თუ ბავშვი კმაყოფილია, არ ტირის, თუ „ყოველი შემთხვევისათვის" ზედმეტ შარფში კომბინეზონსავით არ შეფუთავთ, არ დაამძიმებთ, ე. ი. სწორად აცვია. ისე კი პატარა ან გამოიწრთობა, ან ზედმეტად განაზდება. ცხადია, გამოწრთობა სჯობს. მე შემთხვევით ვერ ვიტან, როცა ბავშვს ისეთი დიდი და თბილი ნაქსოვი ქუდი აქვს ჩამოფხატული, რომელშიც მხოლოდ ცხვირიღა უჩანს.

— კი, მაგრამ გაცივების რომ მეშინია?

— ყველა დედას ამის ეშინია, იმას კი არავინ დაგიდევთ, რომ გადახურება უფრო საშიშია. ბავშვი სიცივეს უკეთ იტანს, ვიდრე სიცხეს. იმასაც მიაქციეთ ყურადღება, თქვენ თვითონ როგორ გაცვიათ, როცა ბავშვი სასეირნოდ მიგყავთ. ხშირად მინახავს დედას საზაფხულო კაბა ან მსუბუქი კოსტიუმი აცვია. ბავშვი კი ბეწვეულში ყავს შეფუთული.

— მეგობარმა მირჩია, ბავშვის ხელების ტემპერატურით მიხვდე ცივა თუ არა მას.

— ხელები ყოველთვის ცივი მოგეჩვენებათ, ბავშვის ხელები და ფეხები რამდენიმე გრადუსით ყოველთვის უფრო გრილია, ვიდრე სხეულის სხვა ნაწილები. თქვენი ხელი ყოველთვის უფრო თბილი იქნება, რადგან მოძრაობისას სისხლის მიმოქცევა ინტენსიურია. ამიტომ გეჩვენებათ, რომ ბავშვს ცივა.

— მაინც რომ გამიცივდა და სურდო დაემართა?

— ყველაფერს სურდოს ნუ დავარქმევთ. შეიძლება მტვერი ან კვამლი შეისუნთქა და ლორწოვანი გარსი გაულიზიანა. სურდოს დროს პატარას ცხვირიდან სულ ბუშტუკები ჩამოსდის.

— როცა თვითონ მაქვს სურდო, ალბათ ბავშვსაც გადაედება ძუძუს რძით.

— სრულიადაც არა. წამალი შეიძლება გაყვეს რძეს, ამიტომ ყოველთვის უნდა ჰკითხოთ ექიმს, წამალი ბავშვზეც ხომ არ იმოქმედებს. მაგრამ ბაცილა რძეში უკიდურესად იშვიათად მოხვდება. თუკი ინფექციური ავადმყოფობა დედიდან ბავშვზე მაინც გადადის, ეს რძის კი არა, პირდაპირი კონტაქტის ბრალია.

— როგორ დავიცვა ბავშვი, რომ ჩემგან ბრიკი არ გადაედოს?

— უნდა გამოაწრთოთ. ნუ ჩაფუთნით, ნუ გააოფლიანებთ, რადგან ოფლიანი ადვილად ცივდება. თუ ოფლი მოსდის, უნდა მიხვდეთ, რომ ზედმეტად თბილად აცვია. რაც შეიძლება ხშირად გყავდეთ ჰაერზე. უნდა ეძინოს განიავებულ, გრილ ოთახში. ცხელ ოთახში ჰაერი მშრალია, ამიტომ ბატარეაზე ყოველთვის გედგეთ წყლიანი ჭურჭელი ან გეფინოთ სველი ნაჭერი.

ვისაც ახველებს ან ცხვირს აცემინებს, ბავშვთან ნუ მიუშვებთ.

— მე იგი ხშირად სამზარეულოში მყავს, რადგან იქ უფრო თბილა.

— სამზარეულო ყველაზე ნაკლებად გამოდგება ბავშვის სამყოფად.

სასურველია, ბავშვისთვის ცალკე ოთახი გქონდეთ, რომელიც ადვილად სუფთავდება. არ არის საჭირო ამ ოთახში ხალიჩები, მძიმე ფარდები, რადგან ისინი მტვერს იკრებენ და ძნელი დასასუფთავებელია.

ბავშვს მთელი ღამე უნდა ეძინოს ღია, ან თუ ძალიან ცივა, პატარაზე მოღებულ ფანჯრიან ოთახში.

— საბანი რომ გადაიხადოს?

— პირველ ხანებში ფხიზლად უნდა იყოთ, ნელ-ნელა შეეჩვევით, საბანი ისე დაახუროთ, რომ არ გაცივდეს, მაგრამ არც სიცხემ შეაწუხოს. სიცხეს რომ გრძნობს, იმიტომ უჩნდება სურვილი გადაიხადოს.

— ნახეთ თავი რა კარგად უჭირავს?

— მუცელზე მწოლი ახალშობილი ახერხებს თავის მობრუნებას, მაგრამ ზოგი მალე ეჩვევა თავის წამოწევასაც. მეორე თვის დასაწყისში ჩვილთა უმრავლესობა იჭერს თავს. ხშირად უნდა დააწვინოთ მუცელზე და აცალოთ ერთხანს იწვეს ასე ნახევრადშიშველი, შეიძლება ამ პოზაში დაიძინოს კიდეც, მაგრამ გაფრთხილებთ: არავითარი ბალიში საჭირო არ არის, რადგან შეიძლება პაწია შიგ ცხვირით ჩაეფლოს და ველარ ისუნთქოს. თავის წამოწევის ყოველი ცდა მისთვის ვარჯიშია, შემდეგ იგი ეყრდნობა იდაყვებს, მერე კი გაშლილ ხელებს და ისე წამოსწევს თავს. შეუძლია ამ დროს გახოხდეს ტახტის კიდისაკენ. საჭიროა სიფრთხილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მანდილოსნის" თაოსნობა

# საქართველოსთვის სულსაც არ დავიშურებთ



თბილისში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, 14-ში, საქმრეწმშენბანკის შენობაში, ბრძანდება საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულო „მანდილოსნის" ინიციატივით წამოწყებული პატრიოტული აქცია: საქართველოს ეკონომიკური სიძლიერისათვის ოქროს ფონდის შექმნა მოდით, ვაქციოთ ჩვენი პატარ-პატარა სამკაულები ეროვნულ განძად, რათა ეს განძი ჩვენს თვალისჩინს, ჩვენს მამულს მოხმარდეს, თქვენ ღვაწლმოსილმა მანდილოსნებმა, თითოეულმა ჩვენგანმა მისხალი ოქროც რომ გაიღოს, ისიც კი კეთილ საქმეს გააკეთებს.

გულიდან წამოსული თაოსნობა დროული გამოდგა.



დღეს ქრისტიანული თვითშეგნება ისეა გაძლიერებული. შინაგანი სმენა ისე გაფაქიზებული, რომ მაშინვე არჩევს ჭეშმარიტს ყალბისაგან, გულით ნათქვამს — პოზისა და ფარისევლობისაგან.

საბედნიეროდ აქაც ასე იყო.

ფეხბედნიერი გამოდგა პირველი შეწირულობა. ეს იყო უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის მიერ მოტანილი ძვირფასი სამკაული, რომელიც ფონდისათვის მას გამოატანა სულიერმა და ელენემ.

უწმინდესმა და უნეტარესმა აკურთხა ქართველ მანდილოსანთა პატრიოტული წამოწყება, დალოცა ის ქაბუკი, რომელიც შეკრებაზე შემთხვევით მოხვდა, მაგრამ მოსმენილმა და ნანახმა ისე აალელვა, რომ ყელიდან მოიხსნა ჯვარი ვერცხლის ძეწკვით და თქვა: დედას ვფიცავარ, უკეთესი არაფერი გამაჩნია და სულით და გულით შემოგწირავთო.



ასე დაწყებული საქმე არ შეიძლებოდა ღვთიან-მადლიანად არ გაგრძელებულიყო. ასეც მოხდა.

მინდა რამდენიმე ეპიზოდი გიამბოთ. ზოგი მათგანის მოწმე თავად გავხდი, ზოგიც კომისიის წევრებმა მიამბეს.

მობრძანებულა ქალბატონი მედეა ჯაფარიძე:

— ყველაზე ძვირფასი ჩემთვის ეს ჯვრისწერის ბეჭედია. სწორედ ამიტომ მინდა იგი ჩემ ქვეყანას შევწიროო, — უბრძანებია მშვენიერ ქალბატონს და თითიდან ბეჭედი წაუძვრია.



მეორე საქორწინო ბეჭედი ეკუთვნის დამოუკიდებელი საქართველოს თბილისის პირველ მერს ნიკო ელიავას. ეს ის ელიავაა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე რომ აქვს ხელი მოწერილი. ბეჭედი მისმა შვილიშვილმა ელისაბედ გაბუნიამ ჩააბარა ფონდს.

— აი, ეს ოქროს კბილი იმ ადგილიდან არის აღებული, სადაც მამაჩემი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამაზე ძვირფასი არაფერი მაქვს, — გვითხრა ქეთინო კუპატაძემ და ჩუმად მოიწმინდა ცრემლი.

ყველა ძალიან გაახარა ბატონების ოთარ მელვინეთუხუცესის, გოგა ლორთქიფანიძის, თემურ ჩხეიძის, ელგუჯა ამაშუკელის, გივი ყანდარელის, ელდარ შენგელაიას, ერლომ ახვლედიანის, ქალბატონი სოფიკო ჭიაურელის მოსვლამ, მათ ფონდს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის ოქროს სამკერდე ნიშნები შესწირეს.

სიმონ ჩიქოვანის ვაჟიშვილმა ნიკამ პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობის სამკერდე ნიშანი მოიტანა. იყო რაღაც ღრმად სიმბოლური ამ აქტში, თითქოს ერის საამაყო შვილები, აწ უკვე ზეციური საქართველოს ბინადარნი ისეთივე მხურვალე გულით მონაწილეობენ საქართველოს კეთილდღეობისათვის წამოწყებულ ყველა თაოსნობაში, თითქოს ისევ აქ, ჩვენს გვერდით იდგნენ.

არ დაიყოფა საქართველო არანაირი ნიშნით. ჩვენებური კაცი, თუ მართლა კაცია, ჯერ ქართველია, მერე კი ამა თუ იმ იდეოლოგიის თუ რელიგიის აღმსარებელი.

მოკრძალებულად შემოაღო კარი ვასილ მჟავანაძის ქალიშვილმა ნინომ. მისი ოჯახის წევრები აფხაზეთში, ფრონტის წინა ხაზზე იბრძვიან. ქალბატონმა ნინომ მამამისის გმირის ოქროს ვარსკვლავი მოიტანა და გულით თქვა: მამაჩემი ცოცხალი რომ იყოს, ასეთ დროს საქართველოსთვის არაფერს დაიშურებდაო. თამარ ვადაჭკორიამ ის ოქროს მედალი შეწირა ფონდს, რომელიც ბატონ ვალერიანს გერმანიაში გადასცეს. მერაბ მამარდაშვილის ბიძაშვილმა მზია მამარდაშვილმა გულწრფელად თქვა: ნეტა, მეტი მქონდეს, საქართველოსთვის სულსაც არ დავიშურებდიო.

მარო თარხნიშვილის შვილიშვილმა თინა ყალიჩავამ და მარიკა კვალიაშვილმა ის ოქროს საათი მოიტანეს, რომელიც იუბილეზე მადლიერმა ქართველმა ხალხმა მათ დიდ ბებიას მიართვა, და ოქროს ბეჭდები, რომლებსაც მათი დედები ატარებდნენ.

ყველა ძალიან აღელდა, როცა აფხაზეთიდან ლტოლვილმა ქეთინო კაჭარავამ და დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულმა მზია მეშვილდიშვილმა, რომლებიც თავს სასტუმროს აფარებენ, თითიდან წაიძრეს ბეჭდები და საქართველოსათვის უყოყმანოდ შეწირეს.

ბატონი კონსტანტინე ჩაჩავას სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ოქროს მედალი მოიტანა მისმა ქალიშვილმა.

— ჩემი შვილი აფხაზეთში იბრძვის, განა შემიძლია ასეთ დროს ჩემი ქვეყნისთვის რაიმე დავიშურო? — ასე გვიპასუხა მადლობაზე მედეა ტატანაშვილმა. — 40 წელია ეს საყურე არ მომიხსნია, — თქვა ალექსანდრე ჩივაძის დედამ, — რაკი საქართველოს დასჭირდა, სიამოვნებით შევწირავ მას. დიდი ოქროს მედალი ჩაგვაბარა ალექსანდრე მეტრეველმა.

ჩვენთვის ფრიად სასიხარულო იყო ის გულითადობა, რასაც სხვა ეროვნების წარმომადგენლები იჩენდნენ: ნანა ვოლდეიტი, თეონა ვართანოვა, ტატიანა ბარაშკოვა, ევგენია შაპირო, ინა ბაგაჩოვა, ვიქტორია ცარიუკი, ანა ბალდასარიანი, დარეჯან იზუმოვა, მარია პეჩორკინა... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

უხვი იყო სხვადასხვა ფირმების, კონცერნების, კოოპერატივების შემოწირულება.

არც ერთს, ვინც დღეს ვახსენეთ და მომავალშიც ბევრი დაიწერება, თავის გამოჩენისათვის არ გაუღია თავისი ოქრო.

და მაინც არც ერთი მათგანის სახელი შთამომავლობას არ დაეკარგება.

...მრავალმა სახემ გაიელვა ჩემ თვალწინ იმ დღეს, როცა მიმღებ კომისიაში მორიგეობამ მომიწია. ისინი არაფრით გვანდნენ ერთმანეთს და მაინც ჰქონდათ ერთი რამ, რაც ისე ამსგავსებდა ერთმანეთს, თითქოს ერთი დედის შვილები ყოფილიყვნენ. ეს იყო უწრფელესი გამომეტყველება, როცა სხვადასხვა სიტყვებით ერთი აზრის გამოხატვა სურდათ: „საქართველოსთვის სულსაც არ დავიშურებ"...

დიახ, მაშინ ისინი დედმამიშვილებივით ჰგვანდნენ ერთმანეთს, თუმცა რა გასაკვირია. ყველანი ხომ ერთი დედის — საქართველოს შვილები არიან.

**ნარგიზა მგელაძე**



# შინაბერას დაბადების დღე

ნუნუკას დღეს სამოცი წელი უსრულდება. როგორ ელოდა ამ თარიღს, გეგმებს აწყობდა დიდებულად აღნიშვნისათვის. რა უცებ გაიარა წლებმა. კი არ გაიარა, გაიქცა. გაექცა დისშვილებისა და ძმისშვილების მოვლა-პატრონობაში. რატომ აკეთებდა, თვითონაც არ იცის. მათ ხომ მშობლები ჰყავდათ! ამას რაღა უნდოდა, თავი დაენებებინა და გათხოვილიყო, შვილები ეყოლოდა და მასაც ეგემა დედური გრძნობა, დიასახლისობა, ყველაფერი ის, რაც ჩვეულებრივ ოჯახშია.

შაბათი მაინც არ დამთხვეოდა. არც თვითონ მუშაობს, არც ახლობლები. სტუმრებს სამი საათისთვის დაპატიჟებდა, სახლში გვიან წასვლის რომ არ შეშინებოდათ, ცოტათი მაინც ისიამოვნებდნენ, დროს გაატარებდნენ. რაღაცეები კი აქვს ნაყიდი, კიდევ დაუმატებდა, მერე რა, რომ ბაზარი ძვირია, იმდენ რაიმეს აღარ გააკეთებდა, ადრე რომ აკეთებდა. ახლა მთავარია წნევამ არ აუწიოს და კიდევ ლოგინად არ ჩავარდეს. არადა, როგორ შემოეჩვია ეს ოხერი...

ამ დროს კარი გაიღო და კალათებით დატვირთული დისშვილი გამოჩნდა...

— დეიდაჩემო, — დაიძახა ოთახში შემოსულმა, — დაბადების დღეს გილოცავ, კალათები იატაკზე დადო და დეიდას გადაეხვია.

ნუნუკას თვალები გაუბრწყინდა. არ ელოდა მის მოსვლას, მოკითხვა ვერ მოასწრო, რომ მეორე დისშვილმა შემოაღო კარი. მასაც ხელში დიდ სინზე დალაგებული ცხელ-ცხელი ხაჭაპურები ეკავა...

—გახსოვდათ ჩემი დაბადების დღე, არ დაგავიწყდათ? — გაბრწყინებული ეკითხებოდა ნუნუკა და თან მაგიდას უშლიდა, რომ წაეხემსათ.

— მამიდა, — მოესმა ეზოდან, — კარი გამიღეთ და მომეშველეთ... ქოშინით ამოიარა კიბეები უფროსმა ძმისშვილმა და ხელით სავსე ჩანთები ოთახში შემოალაგა.

— მამიდაჩემო, შენი დაბადების დღე ზარზეიმით უნდა აღვნიშნოთ, სუფრობა ხომ არაა, სამოცი წლის მამიდა და ისიც ასეთი ახალგაზრდა. აბა შენ იცი, როგორ გამოიპრანჭები და ყველაზე ლამაზი იქნები. აი, აქ, ამ სავარძელში ჩაგსვამთ და ხელს არ გაგანძრევინებთ, ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ.

— ღვინოსა და ბალახ-ბულახს სხვები მოიტანენ, — არ ჩერდებოდა ძმისშვილი, — ისეთ სუფრას გაგიშლით, ისე მოვრთავთ ყველაფერს, რომ მოგეწონება.

მამიდა თვალს ვერ აცილებდა მოფუსფუსე დისშვილებსა და ძმისშვილებს. სახლი ახლობლების სიცილ-კისკისმა აავსო, სიყვარულსა და მოგონებებს ბოლო არ უჩანდა. ნუნუკას თითქოს ენა დაება, ხმას ვერ იღებდა, მხოლოდ თავის დაკვრითა და ღიმილით პასუხობდა იქ მყოფთ.

რა კარგი თამადაა მისი დისშვილი, რა იუმორი აქვს, როგორ მღერიან და ცეკვავენ, ტყუილად არ უტარებია მუსიკაზე, სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილებზე.

საგანგებოდ მორთულ სავარძელში უბედნიერესად იჯდა ნუნუკა და თუ იცით რაზე ფიქრობდა, — მერე რა, რომ არ გავთხოვდი და ჩემი ახალგაზრდობა მათ შევალიე, განა ნაკლები პატივი დამდეს? ღმერთო, მხოლოდ ამ დღისთვის ღირდა მათზე ზრუნვა და შინაბერად დარჩენა...

ზარის ხმამ ბურანიდან გამოიყვანა. მიიხედ-მოიხედა. ზარი ხელმეორედ დაირეკა. ფოსტლებში ფეხი წაიყო და ავადმყოფური ხმით გასძახა:

— ვინ ბრძანდებით?

— ფოსტაა, — მოესმა სადარბაზოს კარიდან.

ნუნუკამ კარი გააღო. გაზეთები გამოართვა და იმ სავარძელში ჩაეშვა, სიზმარში რომ იჯდა.

**ეთერ ბეჟანიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპარსული პოეზია

ირანული პოეზიის თარგმნა საპატიო, მაგრამ საძნელო საქმეა. საძნელო იმდენად, რამდენადაც განუზომელია და აღუწერავი მისი მშვენიერება და მთარგმნელს ყოველთვის თან სდევს შიში მკითხველისათვის აუხსნელი და შეუცნობელი არ დარჩეს ორიგინალის ხიბლი. აკი, ვოლფგანგ გოეთეც ამბობს თავის დასავლურ-აღმოსავლურ დივანში: „სპარსელებმა ხუთი საუკუნის მანძილზე ღირსეულად იცნეს მხოლოდ შვიდი პოეტი, მაგრამ მათ მიერ დაწუნებულთა შორისაც, მე ალბათ, ბევრს ვერ დავებადრებოდი". ამ სიტყვებს ხშირად იხსენებენ ხოლმე და ძირითადად ირანული პოეზიის მაღალმხატვრულობისა და მშვენიერების დასტურად; მაგრამ მეორე და უმთავრესი, რაც ნათქვამის არცთუ ღრმა ქვეტექსტში იგულისხმება, არის ევროპული ლიტერატურული გემოვნების, რაციონალურ საწყისზე დაფუძნებული სამწერლობო ტრადიციის მიერ აღმოსავლური-ხატოვანი, მეტაფორების მარადმოყვავილე ხეებზე დამყნილი — პოეტური აზროვნების აღიარება და შეწყნარება. ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით... ის, რაც ევროპელი მკითხველისათვის ლიტერატურული წვრთნისა და ცხოვრების წესის გამოისობით შესაძლებელია მიუღებელი იყოს აღმოსავლური პოეზიის წაკითხვისას, მაშრიყელი კაცისათვის ყველაფერი ახლობელია და ნიშნეული. რადგან მის მწერლობაში განფენილ ყველა თავისებურებას სათავე ყოფასა, საწესჩვეულებო რიტუალებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეძებნება. ზემოთქმული უპირველესად მოჭარბებულ ხატოვნებას ეხება და თუკი ამ მოვლენას ერთი ჩვეულებრივი ყვავილის — უკვდავას სპარსული სახელის „გოლე ჰამიშე ბაჰარ", — გაზაფხულდაულეველა, მარადის მოგაზაფხულე — მაგალითზე გავიაზრებთ, ვიგრძნობთ, რაოდენ მაღალი პოეზიით არის გაჯერებული ირანელი კაცის მსოფლგანცდა.

თუ ეს უცილობელი ჭეშმარიტება სწორად არ იქნება გაგებული და თუ მკითხველი და კითხვისწინა განწყობილება არ შეთანხმდნენ ყოველივე ზემოთქმულში, ისე ალბათ გაჭირდება სპარსული ლირიკის მშვენიერების აღქმა და იმის გარკვევა, თუ სად გადის გემოვნებისა და უგემოვნობის ზღვარი ირანულ პოეზიაში.

წელან შემთხვევით როდი გამახსენდა უკვდავა და მისი სპარსული სახელი. თავის მხრივ, ამ ქართული სახელწოდებიდანაც ხომ უნატიფესი პოეზია შემოგვყურებს.. სწორედ გაზაფხულდაულეველ მინდვრებში მოკიანთე, სიკვდილის სუნთქვას განრიდებულ ამ პატარა ყვაილთან აღესრულება ქართული და ირანული პოეტური ტრადიციების საკრალური პაემანი. რომელსაც უხვი ლიტერატურული ნაყოფი გამოუღია ასწლეულების განმავლობაში: ეს იქნება „შაჰნამეს" ქართული ვერსიები თუ სპარსული ლიტერატურის უახლესი ბრწყინვალე თარგმანები, რომელთა ფონზე, ალბათ დიდი სითამამეც არის ჩემეული თარგმანების გამოქვეყნება, მაგრამ იმ თვალსაზრისით, რომ ყოველი ახალი თარგმანი ახალი შტრიხით ავსებს ორიგინალის სულს, ვთავაზობ მკითხველს ომარ ხაიამის ღვინოსა და ჰაფეზის ვარდებს და თუ ეს მაღალი, სისხლსავსე და წითელი ვარდები თარგმანში ასკილის ყვაილებს მაინც დაემსგავსა, მე უზომოდ ბედნიერი ვიქნები...

მთარგმნელი

10

## ჰაფეზი

* * *

თუ მთვრალი ვარ, შენი ეშხით
ქვეყნად მთვრალი ვთარები.
მოდი. გულზე მომეფონე,
დამიწყლულე იარები.
იებს ლალი მინავლიათ,
გზებზე დაპფანტვიათ ქარვა,
ვინც შემხედა. შემიცოდა,
ვინა თქვას, რომ მთვრალი არ ვარ.
ერთადერთო, გამილომე,
ვის შეგადარ-შეგაფარდო,
ფრთებდაჭრილი ბულბული ვარ,
აღარ ამიყვავდე, ვარდო.
უმღერელი სიმღერებით
ყელი ისე გამეთანგა,
მე — აღარა...: ახლა სულ სხვამ
გილილინოს, ტკბილო ჩანგო,
გამარჯობა. სახაფლაოვ,
ჩემო დედავ, ჩემო ბუდევ;
ველართქმული სიმღერების
მწუთხე ჯავრით გავიგუდე.
მარტოობით დაღდასმული
სული, უზმოდ ამომკარდი,
მღვრიე ნისლებს ელერება
საამოდ ჩემი ვარდი.

## ომარ ხაიამი

# რობაიები

1.
ამქვეყნიურ დარდის ჩაკვლა
ლალის ღვინის თასში მინებს.
გულს ნაღველით დაღაზებულს
ოდენ ღვინო გააბრწყინებს.
ასე ვიზამ, ძალით შერთულ
ჭკუა-რწმენას გავეყრები,
შემდგომ ვაზის ასულთანაც
სიხარულით ვიქორწინებ.
2.
შენც დაწყნარდი. ჩემო ძმაო,
კლდეთა მორღვეული რიფო,
განა ქვეყანა ბალია,
სულ რომ თავვარდი კრიფო,
სიცრუე და ორპირობა
წუთისქვეყნის თვისებაა;
არ იქნება, რომ სულ ეგრე
გეამხანაგ-გეარაფოს.

3.
მე რას მერჩი. თუკი ღმერთო,
თვით მოზილე ჩემი თიხა,
ჩემი ხორცის პერანგი და
ზედაც ხერხემლის ხარიხა.
ანათეო, გამომიშვი,
აქ მზე დამხვდა დიდი ქიშით,
ამ კაშკაშა სინათლეში
აბა, როგორ მეშარიხა.
4.
აზრთა მბრწყინავ მარგალიტებს
ბასრი ჭკუით ხვრეტდა ვინაც,
ვინც ჩემობდა, ჭიცი ღმერთი
მისი სადგომი და ბინა;
ჭერ მეუფის სიდიდეზე
გაბედა და წაიუბედა,
მაგრამ ვერ თქვა ვერაფერი,
დაღლილს ისე მიეძინა...
5.
რა მინდოდა, რატომ დამსვა.
უზილავმა ძალამ აქ მე,
მომატყუეს, წუთისოფლის
ძაგებაა ჩემი საქმე.
ჩემს ღიდ შემქმნელს ავუმრიზე,
ვერ მივმხვდარვარ ყოფნის მიზეზს,
ან ჩემს ყოფნას რა ფასი აქვს,
ან არ ყოფნას რისად ვაქნევ...

სპარსულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტვირთი

საშუალო სკოლა დავამთავრე და როგორც სოფელში ხშირად ხდება, გამიჩნდა მაჭანკალი. თბილისელი ბიჭი, დედისერთა, ბინიანი... ყველა თავს მაზვევდა ქალაქში გათხოვების პერსპექტივას. არასოდეს მიოცნებია ქალაქურ ცხოვრებაზე და საერთოდაც, ნაადრევად ოჯახის შექმნის წინააღმდეგი ვიყავი. ძალა დამატანეს მშობლებმა, დამითანხმეს...

თავიდანვე ჯადოსნური წრე შეიკრა ჩემს ირგვლივ. ხალხის რია-რიას თავი არა მაქვსო, — იმიზეზებდა და უარს ამბობდა ჩვენი ქორწინების ოფიციალურ გაფორმებაზე დედამთილი.

მეუღლე არ მუშაობდა, ცუდ წრეში ტრიალებდა. მალე დანაშაული ჩაიდინა. ნიშნობაში მორთმეული ოქროს ნივთები და ტანსაცმელი დედამთილმა ლომბარდში დამიგირავა და შვილი გამოიხსნა. ჩემმა მშობლებმა სამკაულების გამოსასყიდი ფული მომცეს, მაგრამ დედამთილმა არ ისურვა ნივთების გამოტანა. ჩემმა მეუღლემ კვლავ ჩაიდინა დანაშაული, ტაქსი გაიტაცა. ის ფული მისი ახალი დანაშაულის ჩაფარცხვას მოხმარდა.

უცნაური რწმენის ხალხი იყო. სახლში საჭმელს არ ჭამდნენ — ვმარხულობთო. თვითონ მეზობლებში, სასადილოში, ამხანაგებთან მიირთმევდნენ. მე, ფეხმძიმე ქალი, შინ გამოკეტილი მშიერი ვიყავი. ბოთლებს ვაბარებდი, შავ პურს ვყიდულობდი და იმით ვსაზრდოობდი. მუდმივმა შიმშილობამ დამაუძლურა. მეუღლემ მშობლებთან წამიყვანა სოფელში. შინ მობრუნებულებს დაკეტილ კარზე წერილი დაგვხვდა: „შვილო, — სწერდა ჩემი დედამთილი თავის ვაჟს, — ეგ ქალი სახლში აღარ შემოიყვანო, ჯადო გაუკეთებია“... ღამის პირველ საათამდე ვიტრიალეთ გარეთ, შემდეგ მოვიფიქრეთ და სარდაფიდან ავმძვრეთ. გამთენიისას მოვიდა, წამოგვყარა ლოგინიდან და გარეთ გამოგვაბრძანა. ხუთი თვის ფეხმძიმე ვიყავი. საქმეში მისი ნათესავები ჩაერივნენ და, როგორც იქნა, მოიღო მოწყალება, შინ შეგვიშვა.

მეგონა ძლიერი, ამაყი ვიყავი, მაგრამ იმ დედაკაცისთვის სიტყვა არ შემიბრუნებია, შუბლი არ შემიკრავს.

ვითმენდი ყველაფერს, რადგან მეუღლე მიყვარდა. შვილს ველოდი. მეუღლე ძლიერ განიცდიდა დედის საქციელს. იქით ვამშვიდებდი, სატკივარს ვუიოლებდი.

შემეძინა ბიჭი. თვენახევარს ველოდით მეუღლეს და მამას მე და ჩემი უგვარო ვაჟი.

შევეცოდე ძმებს. წავიდნენ და... შუალამით მოშაკითხეს დედამთილმა და ქმარმა, წამიყვანეს სახლში.

ორ კვირას ვიცხოვრე მათთან. შვილი ავად გამიხდა. დაგვაწვინეს საავადმყოფოში და მიგვატოვეს. მშობლებმა ძალით მოიყვანეს თურმე ჩემი მეუღლე. ცალკე ვიცხოვროთო, — მითხრა. ცას ვეწიე სიხარულით. ღალატი ვაპატიე და თურმე უფრო დიდ ღალატს მიმზადებდა... ჩემი მზითევი ნაქირავებ ოთახში გადავიტანეთ. ერთი თვე ტკბილად ვცხოვრობდით. შეურაცხყოფას არასოდეს მაყენებდა. მაპატიეო, — მთხოვდა.

ბავშვი ისევ ავად გამიხდა. კვლავ საავადმყოფოში მოვხვდი და კვლავ გაუჩინარდა ჩემი მეუღლე.

დედამ და დეიდამ წამიყვანეს. დაბრუნდები, მელოდეო, — დავიბარებინა ამბავი. მთელ თვეს ველოდე. მეგონა, რაღაც უჭირდა. ერთ დღეს მისი კორპუსის ახლოს გავიარე. ავტობუსიდან დავინახე, ფეხბურთს თამაშობდა პატარა ბიჭებთან. ეს იყო და ეს.

ვცხოვრობთ ახლა ჩემ მშობლებთან მე და ჩემი პატარა ბიჭი — ჩემი უკანონო შვილი. თვალებში შევცინებთ ყველას, ძმებს, რძლებს, მათ შვილებს.

ხან მგონია, სიზმარი იყო ყველაფერი, გავიღვიძებ და გაქრება... მაგრამ შევხედავ ჩემს ბიჭუნას და ისიც თავისი ჭკვიანი თვალებით დამიდასტურებს, თუ რაოდენ ზედმეტნი ვართ ამ ქვეყნად ორივე.

გეკითხებით, რატომ მერგო ასე უცნაური ცხოვრება. ასე ღალატიანი და უზნეო მეგობარი?

არ გეგონოთ, რაიმეს მატერიალურს გთხოვდეთ. სიმართლის ყველა გზა გადამიკეტეს კანონის დამცველებმა. უბრალოდ, ყველა სიკეთეზე ხელჩაქნეულმა უნებლიე ალსარება გითხარით, ეგებ მოეფონოს ცოტაოდენი დაჭაობებულ სხეულს, იქნებ ჩემი სულის მძიმე ტვირთი შემიმსუბუქოს.

ერთი რამ მაღელვებს მხოლოდ: შეძლებს კი ჩემი ბიჭუნას ოცი წლის დედიკო კარგი ადამიანი გაზარდოს და მამის გენები ჩაუქროს?



მინაწერი: მესამე კურსზე სასწავლო პრაქტიკა საგარეჯოს რაიონულ გაზეთში გავიარე. პირველ რესპონდენტებად ახალკოლმეურნეობის რებული ბავშვები შემხვდნენ, რომელთაც ახალგაზრდული ბრიგადა ჩამოეყალიბებინათ. ოცამდე იყვნენ — თამამები, ლამაზები. მზეზე გარუჯულები, ჯანმრთელები, საქმიანები .

ბევრი დრო გავიდა იმ შეხვედრის შემდეგ. ერთ დღეს სამსახურში მომაკითხა მათგან ერთ-ერთმა გოგონამ. მას ძალიან უჭირდა.

ჩვენ ბევრი ვიბრძოლეთ. მაგრამ გლდანის სახალხო სასამართლოს წინაშე უძლურნი აღმოვჩნდით. იყო ასეთი დრო. არ გაჭრა ფოტომასალამ, ათობით მოწმის ჩვენებამ. თავდაჩრილი ახალგაზრდა კაცი უარყოფდა როგორც ცოლს, ასევე შვილს და დაზუსტებულივით იძახდა: მაგ ქალს პირველად ვხედავო... სამაგიეროდ, ავობდა და ბილწსიტყვაობდა ვაჟის დედა. რომელმაც რამდენჯერმე მოასწრო ოჯახის შექმნა და დანგრევა, ხოლო თავისი „საყვარელი ბიჭი“ ბავშვთა სახლში ჰყავდა გაზრდილი. სამწუხაროდ, სასამართლო ბრმად ეთანხმებოდა დედა-შვილს.

საქმე სხვა რაიონის სასამართლოში გადავიდა. აქ თითქოს გამოჩნდა სიმართლის გზა, მაგრამ ბოლო მომენტში მოპასუხე მხარის შეურაცხყოფისაგან თავზარდაცემულმა ქალმა უარი განაცხადა ყველაფერზე და დატოვა სასამართლო...

„აფერუმ“... რატომღაც ამ ერთ აკვიატებულ სიტყვას ვიმეორებდი მთელ დღეს. ქალის ალსარებიდან ჩანს, რომ იგი აღარაფერს ითხოვს, მაგრამ... მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ღმერთის სამართალი ურმით დადის და ადრე თუ გვიან ყველას ქიშკარს მიადგება.

ლალი მიგრიაული

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სამეცნიერო-პოპულარული სერიით „ათინათი“ გამოსაქვეყნებლად ამზადებს თამაზ ნატროშვილის მხატვრულ-ისტორიულ ნარკვევს „მოყვასი შორეული რომიდან“. წიგნში ასახულია გამოჩენილი იტალიელი მოგზაურისა და მწერლის პიეტრო დელა ვალეს (1586-1652) ცხოვრების და მოღვაწეობის ის მომენტები, საქართველოს და ქართველებს რომ უკავშირდება. მცირეოდენი შემოკლებით ვბეჭდავთ ორ თავს დასახელებული ნაშრომიდან.

თამაზ ნატროშვილი

# შეხვედრა ყაზვინის გზაზე



მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა და მით უფრო — სასიხარულო. არც დაძაბული სამზადისი ახლდა და არც საზეიმო ცერემონიალი. არავის გახსენებია დიპლომატიური ეტიკეტი, ორივე მხარის ეროვნულ-სოციალურ წარმომადგენლობას რომ შეეფერებოდა. მაგრამ მოულოდნელი შეხვედრა არაფერს კარნახობდა მონაწილეებს, გულთბილი მისალმების გარდა.

მცხუნვარე მზით გავარვარებულსა და უკიდეგანო უდაბნოში რომ შეხვდები უცხო ტომის ადამიანს და მაინც შენიანს, ტკბილ სიტყვას რომ მოისმენ და გააგონებ, მონატრებული ერთი ყლუპი წყალივით შვების მომგვრელი იქნება ამგვარი შეხვედრა. შესაძლოა, წყლის წყურვილიც გადაგავიწყდეს და პირქუში, ერთფეროვანი უდაბნოს ცეცხლოვანი მხურვალებაც.

კაცი კაცის წამალიაო, სწორედ ამაზე უთქვამთ.

მოულოდნელსა და გაუთვალისწინებელზე მეტი რაღა უნდა დაარქვა იმ ამბავს, როდესაც შუაგულ ირანში, შუაღამისას, იტალიელი მოგზაური, თანმხლები შაჰ-აბასის სამხედრო ბანაკისა, მიეშურება ქალაქ ყაზვინისაკენ და გზაში ხვდება ქართველ დიდებულთა მოზრდილ ჯგუფს.

1618 წლის ზაფხულია...

იტალიელი მოგზაური გახლავთ რომიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში წამოსული პიეტრო დელა და გვერდს უმშვენებს მეუღლე — სირიელი ქრისტიანი ქალი, სახელად მაანი.

ქართველ დიდებულთაგან არც ერთის სახელი და გვარი არ ვიცით. იტალიელი მოგზაურის ჩანაწერებს არ შემოუნახავს მათი ვინაობა, ხოლო ქართული წყაროებისთვის ირანში მყოფი ქართველი, დიდებული იქნებოდა თუ მდაბიო, სრულიად არ წარმოადგენდა უცხო ხილს, რომ მისთვის დაეთმო თუნდაც ერთი სტრიქონი, როდესაც მოსათხრობი იყო მთელი ქვეყნისა და მეფეთა თავზე დატეხილი უბედურებანი.

„მოსრნა, მოსტყვევნა, აჰყარნა და მოაოხრნა“, — ასე სიტყვაძუნწად გადმოგვცემს ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი შაჰ-აბასის მორიგ შემოსევას კახეთში. რომაელთა აფორიზმივით ლაკონიურ ფრაზაში ჩატეულა უთვალავი ვაება და მოთქმა, ქართველი ხალხის მეხსიერებაში საუკუნოდ აღბეჭდილი მწარე იარა.

სამაგიეროდ, მეორე მხარე უფრო ენაწყლიანად გვაუწყებს პატარა და ურჩი მეზობლის სანიმუშოდ დასჯის ამბავს. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ისლამის გაჩენის დღიდან არგაგონილა ასეთი ხოცვა-რბევა და ძარცვა, ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა, კახეთის ქრისტიანებმა რომ იგემესო. მოკლულთა რიცხვი სამოცდაათიათასამდე იქნებოდა, ხოლო დატყვევებულ ქალ-ვაჟთა რიცხვი ასი ათასს აღემატებოდაო.

...პიეტრო დელა ვალეს მეუღლე მაანი ევროპელი ყაიდის ტახტრევნით მგზავრობდა და ქართველების ცნობისმოყვარეობა გამოუწვევია მათთვის ახალსა და უცნაურ ტრანსპორტს. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, კაშკაშა მთვარეც დაჰქათქათებდა გზას, ზაფხულის სიცხეს საგრძნობლად ანელებდა ღამით ათრთოლებული ნიავი და თავი სამოთხეში გეგონებოდა. ყველა შემოეხვია მაანის ტახტრევანს — მამაკაცებიც და მათი ცოლებიც, მსახურ-მოხელეებთან ერთად.

ქართველი ქალები მიესალმნენ მაანის და ქართულად გამოელაპარაკნენ. პიეტროს მეუღლე მყისვე მიხვდა, სადაურებიც იყვნენ ისინი, გულთბილად გასცა პასუხი სალამზე და ძლივძლიობით გააგებინა თავისი ვინაობა. მაგრამ ქართულიც რომ სცოდნოდა, ეგებ ასევე შეეჩოჩქოლებინა ისინი, როდესაც თავისი ყელსაბამი ჯვარი უჩვენა.

ქართველმა ქალებმა ჯვარი დაინახეს, უზომო აღტაცებით შესძახეს: „ქართველი, ქართველი!“ (იტალიურ დედანში: („Cartueli).

პიეტრო დელა ვალე იტალიელი მკითხველისათვის განმარტავს, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ქართველი“ (იტალიურ ენაზე ქართველს ეწოდება „ჯორჯანო“) და იქვე დასძენს, რომ თვით ქართველები ამავე სიტყვით აღნიშნავენ ქრისტიანს. მათი შეხედულებით, ქართველი და კარგი ქრისტიანი — ეს ორი მცნება ერთმანეთისგან განუყოფელი არისო.

პიეტრომ არ იცის, რომელი საქმის მოსაგვარებლად ჩამოსულან ეს ქართველი დიდებულები სეფიანთა სამეფო კარზე. აქამდე არც უნახავს ისინი, თუმცა ერთ წელიწადზე მეტია, რაც ირანში იმყოფება, როგორც შაჰ-აბასის საპატიო სტუმარი.

ქართველი ქალების ჟრიამულში მათმა ქმრებმა განცალკევებით მდგომ პიეტროს ხელით ანიშნეს, მანდ რას აკეთებ, რატომ არ შემოგვიერთდებიო? იტალიელმა მოგზაურმაც აღარ დააყოვნა და აუჩქარებლად მიუახლოვდა მაანის ტახტრევანის გარშემო თავმოყრილ ქართველებს. ერთმანეთს მიესალმნენ უფრო მუნჯურად, ვიდრე სიტყვებით. მაგრამ ყოველი ქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თავს უკრავდა უცხოელს არაჩვეულებრივი გულითადობით და ორიოდე სიტყვას აყოლებდა ქართულად, თითქოს ვალის მოსახდელად და სიმუნჯის გადასალახავად, თორემ უკვე აშკარა იყო, რომ უთარჯიმნოდ ვერაფერს გააწყობდნენ.

პიეტრომ მიახვედრა, მეც ქრისტიანი ვარო და უკეთესად რომ მიენიშნებინა თავისი სადაურობა, ახსენა რომი და წმ. პეტრე.

ქართველები კმაყოფილნი უქნევდნენ თავს, გვესმისო. მათი აღფრთოვანება მართლაც უსაზღვრო იყო. სადღაც ირანში, ყაზვინის გზაზე შემთხვევით შეხვდნენ რომაელ მოგზაურებს, ერთმორწმუნე ქრისტიანს, სულიერ ნათესავსა და თითქოსდა თვისტომს...

მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ ერთად გაუდგნენ გზას.

პიეტროს არ შორდებოდა ცნობისმოყვარეობით გალიზიანებული ფიქრი: ნეტავი აქ რას აკეთებენ აოხრებული და დაპყრობილი ქვეყნის შვილები, რას ეძებენ სეფიანთა სამეფო კარზე, მორიგებას თუ გარიგებას? თბილ ადგილებს ებღაუჭებიან თუ სამშობლოში შექმნილი ვითარება აწუხებთ და ლამობენ, რაიმე გზით შეუმსუბუქონ ხვედრი? ნეტავი რისთვის ირჯებიან — საკუთარი თუ ქვეყნის ინტერესებისათვის?

პიეტროს თავისი უმწეობა ძალზე აწუხებდა. უენობამ შეუბოჭა გულის წადილი — ყველაფერი გაეგო საქართველოსა და მის მკვიდრთა შესახებ, რომელთაც უკვე კარგად იცნობდა. მაგრამ უენობას რას მოუხერხებ?...

პიეტრომ ჯერ კიდევ არ უწყის, რამხელა ადგილს დაიჭერს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში ეს პატარა ქრისტიანული ქვეყანა, რომ მისი მომავალი წიგნის პერსონაჟებად მოგვევლინებიან ის ქართველები, ვისაც ჯერ არ იცნობს იტალიელი მოგზაური და ზოგის სახელიც არ სმენია. მაგრამ ისინი თავიანთ კვალს დატოვებენ პიეტროს მეხსიერებაში და თვითონაც მოიხვეჭენ პოპულარობას იტალიელი მოგზაურის თხზულების ფურცლებიდან.

ამ ქართველმა დიდებულებმაც არ უწყიან, რომ ყაზვინის გზაზე შეხვედრილი უცხოელი მთელს ევროპას გააცნობს საქართველოსა და ქართველობის სახელს ისე დაწვრილებით, როგორც არავინ და, რაც მთავარია, ისეთი სიყვარულითა და თანაგრძნობით, რომლის მსგავსი საქართველოს სტუმართაგან არავის არასოდეს დასიზმრებია.

ნუთუ არ ახსენდებათ ქართველებს ყაზვინის გზაზე, რომ ოთხი საუკუნით ადრე, თამარ მეფის ლაშქარმა ძლევამოსილი რეიდი მოაწყო ჩრდილოეთ ირანში და სხვა ქალაქებთან ერთად ყაზვინიც აიღო? ნუთუ არ წაუკითხავთ ქართველი მემატიანის ვრცელი თხრობა იმ სასახელო ლაშქრის შესახებ, ნუთუ ზეპირად არ ახსოვთ ზვიადი სიტყვები თამარის ისტორიკოსისა: „მოარბიეს და აღივსნეს საქონლითა; აჰკიდეს საქონელი მათი მათთავე სახედართა; კაცთა არა ჰვნეს, ტყვედ წარმოიყვანდეს კაცთა და მცირედსა ვაჟსა...“

რა თქმა უნდა, პიეტრო დელა ვალეს წარმოდგენაც არა აქვს ოთხი საუკუნის წინანდელი საქართველოს საგმირო საქმეებზე. პიეტროს წინამორბედი, სახელგანთქმული იტალიელი მოგზაური მარკო პოლო საქართველოს „ოქროს ხანას“ არ შესწრებია, უკვე მონღოლები ბატონობდნენ საქართველოში, როდესაც გზად გამოიარა მარკო პოლომ და დაწერა, რომ საქართველოს მეფეს ყოველთვის ჰქვია დავით-მელიქი (როგორი აღრევაა, სავალალო ნიშანი ქვეყნის აღრევისა და დაცემისა: ბიბლიური მეფის სახელი — ქართველ მეფეთა გვარტომობის მანიშნებელი და მის გვერდით წამოჭიმული არაბული ტიტული, მეფესაც რომ ნიშნავს და ფეოდალსაც). ეს მეფე დავით მელიქი თათრებს ემორჩილებოდაო, აღნიშნავდა ვენეციელი მოგზაური.

პიეტრო დელა ვალეს, ცხადია, წაკითხული ჰქონდა მისი წიგნი და ისპაანში ქართველებთან პირველი შეხვედრებისას უფრო მკაფიოდ ამოუტივტივდა მეხსიერებაში მარკო პოლოს ცნობა: წინათ, აქაური მეფეები ბეჭზე არწივის დაღით იბადებოდნენო. ქართველების დახასიათებასაც უკეთესს ვერ ინატრებდი — ლამაზნი, გულადნი, ჩინებული მსროლელნი და თავდადებული მებრძოლნი ომში, ქრისტიანები ბერძნული წესისა.

ეს ის ქვეყანა არისო, წერდა მარკო პოლო, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა, დასავლეთისკენ რომ ბრუნდებოდა აღმოსავლეთში ლაშქრობიდან, ვერ გაიარა, რადგანაც გზა ვიწრო და სახიფათო არისო. ერთის მხრიდან ზღვა აკრავს, მეორეს მხრიდან — მაღალი მთები, და მხედარს გაუჭირდება გავლაო. აქ რამდენიმე კაცს ძალუძს მთელ ქვეყნიერებას გაუმკლავდესო.

აკი უმკლავდებოდნენ კიდეც ათეულები — ასეულებს, ასეულები — ათასეულებს, მაგრამ თანდათანობით ილეოდა ღონე ქვეყნისა და დაკნინების დაღმართით მიიზლაზნებოდა მომავალი უფსკრულისაკენ.

ახლა ქართველები ყაზვინისკენ მიეშურებიან არა საომრად, არა სახელის მოსახვეჭად, არამედ — რაღაცის გამოსარჩენად, პატივმოყვარეობის ჟინის გასაძღომად, წყალობის მთხოვნელად და მათი სამშობლოს უმძვინვარესი მტრის ფერხთა მტვერში დასაჩოქებლად.

მაგრამ პიეტროს უნებური ეჭვები ეგებ არ შეესაბამება სინამდვილეს? მისთვის გაურკვეველი რჩება ქართველ დიდებულთა ვიზიტის მიზანი და, შესაბამისად, ჩვენი წარმოდგენაც შეზღუდულია და ვარაუდების წრეს ვერ გასცდება.

პიეტროს მხარდამხარ მიჰყვებოდა ასევე ცხენზე ამხედრებული ახოვანი და მდიდრულად გამოწყობილი ქართველი დიდებული. ის ჯერ გადაეხვია იტალიელ მოგზაურს, მერე მისი ხელი მიიკრა მკერდზე, მაღლა აღაპყრო თვალები და თითქმის ცრემლმორეული ესაუბრებოდა უცხოელს ქართულ ენაზე. პიეტროს გული აუჩუყა უცნობი ქართველის კეთილგანწყობამ.

ქართულად ელაპარაკებიან, ოღონდ რაღაც ნაცნობ სიტყვებსაც იჭერს იტალიელი მოგზაურის გამახვილებული სმენა. ყოველი ქრისტიანისთვის ესოდენ ნაცნობი და ძვირფასი სახელები მეორდება ქართველი თანამოგზაურის ნაუბარში. ნუთუ სმენითი ჰალუცინაციები მოჰგვარა ზაფხულის სამხრეთულმა ღამემ, მოულოდნელმა შეხვედრამ ყაზვინის გზაზე და ქართველების უჩვეულო გულითადობამ? არა, ყველაფერი რიგზეა, არაფერი მოსჩვენებია. ქართველი დიდებული უკვე მერამდენედ ახსენებს პეტრე მოციქულს, გეთსემანიას, ქრისტეს, პილატეს, გოლგოთას... და მაინც, ყველაზე ხშირად — პეტრეს.

ნუთუ პეტრე მოციქულის ამბავს მოუთხრობდა ქართველი თანამგზავრი პიეტრო დელა ვალეს? ნეტავი რისთვის და რატომ? ეგებ ადამიანურ სისუსტეთა გასამართლებლად? ნუთუ ცრემლმორეული თვალებით იმ ავადმოსაგონარი შეცბუნებებისა და გადადებული მონანიების გამოძახილი იყო? ამდენი საუკუნე გამოევლო გეთსემანიის ბაღიდან ყაზვინის გზამდე და ფეთქავდა იმ კაცის სულში, შესახედაობით გულჩვილ არსებას სულაც რომ არ ჰგავდა.

პიეტრო დელა ვალე იტალიურ ენაზე უხსნის ქართველ თანამგზავრს, რომ ამჟამად კათოლიკური ეკლესია ღედამიწაზე ქრისტეს მოადგილედ აღიარებს — წმ. პეტრეს, ხოლო რომის პაპი მისი მემკვიდრეა.

ქართველი დიდებული თავს უქნევს თანხმობის ნიშნად და, ალბათ, გულში წონის თავის ცოდვა-მადლს.

ორი მხედარი ისევ მხარდამხარ მიჰყვებოდა ერთმანეთს ჩორთით და ხმას არ იღებდა.

გაგრძელება იქნება



# ნუ მიატოვებთ ასეთ ბავშვებს!



მიმართავს თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს ყბა-სახის ქირურგიის განყოფილებისა და სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა სტომატოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი მარიამ ბრიგალაშვილი იმ ბავშვთა მშობლებს, რომლებიც ყბა-სახის რაიმე პათოლოგიით დაიბადნენ.

**— ქალბატონო მარიამ, ჩვენს ახლობელ ოჯახს უბედურება დაატყდა თავს, პირველი შვილი, პირველი სიხარული ტრაგედიად ექცათ. ბავშვი მგლის ხახით დაიბადა...**

— ნუთუ თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ეს თავს დატეხილი უბედურება იყო? სულაც არა. ჯერ ერთი, არცერთ ქვეყანაში ადამიანს ცხოველს არ ადარებენ. უფრო მეტსაც გეტყვით, განვითარებულ სახელმწიფოებში ინვალიდი განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემითაა გარემოსილი, თუმცა გეთანხმებით, მძიმე სანახავია, როგორც ხალხი უწოდებს — კურდღლის ტუჩით, მგლის ხახით, ერთ ან ორ ნაპრალიანი ტუჩით, სხვადასხვაგვარი ჰემანგიომით დაბადებული ბავშვი. როცა ანესთეზიას სათანადოდ დაუფლებულნი არ ვიყავით, მაშინ გვიჭირდა. ოპერაციას თითქმის ბარბაროსული მეთოდით, ადგილობრივი ანესთეზიით ვაკეთებდით. პატარას ხუთი ექვსი კაცი ძლივს იჭერდა. ახლა, ცხვირიდან შევგყავს ნარკოზი და ოპერაცია მშვიდად მიმდინარეობს. შედეგი უფრო ხშირად დამაკმაყოფილებელია — მხოლოდ პატარა ნაწიბური რჩება ტუჩზე. ოპერაცია ეტაპობრივად კეთდება, ჯერ ტუჩის მიდამოებში, მოგვიანებით სასაზე. ასეთ ბავშვებს ოპერაციამდე მეტყველება საგრძნობლად შეზღუდული აქვთ. ნაოპერაციებთ ლოგოპედისა და ორთოდენტის მეშვეობით საბოლოოდ უსწორდებათ ყოველგვარი დეფექტი და ექვსი წლისანი ჩვეულებრივ სკოლებში მიდიან. სათქმელი სხვა გვაქვს. ასეთი ბავშვების დაბადება უმეტესად მწვავე სოციალურ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ხშირად მათზე უარს ამბობენ დედები, მამები, ბებიები. როგორ გამოვარჩინოთ ასეთი მახინჯები (ბავშვებს ნორმალური წოვის რეფლექსიც არ გააჩნიათ და სპეციალური კვება ჭირდებათ). დიდი მისია აკისრიათ იმ გინეკოლოგებს, მიკროპედიატრებს, ვინაც ასეთი ახალშობილების პირველი მხილველნი არიან, მათ სწორად უნდა დააკვალიანონ გულშემოყრილი მშობლები, რათა ისინიც ისე არ მოიქცნენ, როგორც ეს გააკეთა ერთმა ბათუმელმა მშობელმა, რომელიც ყურმოკრული არასწორი ინფორმაციის გამო ამაოდ დაადგა ულან-უდეს მძიმე გზას, სადაც ოპერაცია რის ვაი-ვაგლახით მოახლაფორთეს და საბოლოოდ მაინც ჩვენ გაგვიჩინეს თავსატეხი.

ფსიქიკაშეცვლილი, მშობლებისგან მიტოვებული ასეთი ბავშვები უმეტესად ბავშვთა სახლებში ან ფსიქონევროლოგიურ დისპანსერებში ხვდებიან. თუ არა ჩვენი ზრუნვა, საბოლოოდ განწირულებიც იქნებოდნენ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მშობლებს დაბეჯითებით ვურჩიო გამოიჩინონ გონიერება, მოთმინება, ნუ გაწირავენ, ნუ მოიცილებენ თავიდან ასეთ ბავშვებს. ისინი თითქოს საგანგებოდ, განსაკუთრებით გონიერები იბადებიან, ფიზიკური ნაკლის გამოსწორება კი ჩვენ მოგვანდონ.

**— ხომ არ შეიმჩნევა სიმახინჯეების მომრავლება და თუ ასეა, რა არის ამის მიზეზი?**

— სამწუხაროდ, შეიმჩნევა. გამომწვევია ბევრი ფაქტორი: რადიაციული გამოსხივება, ეკოლოგიური სიტუაცია, შხამქიმიკატებით მოწეული საკვები, ორსულობისას, ადრეულ ასაკში გადატანილი ვირუსული დაავადებები, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, გარკვეულ როლს გენეტიკური ფაქტორიც თამაშობს.

ვიდრე საბოლოო შედეგს მივაღწევდეთ, ასეთი ბავშვები იზოლირებული უნდა იყვნენ სპეციალურ საბავშვო ბაღებში, ან შინ, რადგან ზედმეტი ტრამვა მძიმედ მოქმედებს მათ ფსიქიკაზე.





ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონო მარიამ, გაქვთ თუ არა ყველა პირობა ამ რთული ოპერაციების მაღალ პროფესიულ დონეზე გასაკეთებლად?

— დიახ, ჩვენს განკარგულებაშია რვა საოპერაციო, გვყავს კვალიფიციურ ანესთეზიოლოგთა ბრიგადა, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ კეთილმოწყობილ შენობაში ჩვენთვის განკუთვნილი ოცდაათი საწოლი სავსებით გვაკმაყოფილებს.

ყბა-სახის პათოლოგიის გამოსწორებით განყოფილება არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოში ცნობილ კლინიკებს.

— ქირურგის პროფესია დირიჟორისას წააგავს, ვინ არიან თქვენს გვერდით, ვისაც ენდობით, ვინც თქვენი მარჯვენა ხელია?

— ყბა-სახის ქირურგიის მამამთავრად ალექსანდრე ელიავა ითვლება. თუ ვინმე დღეს ამ დარგში მოღვაწეობს, ყველა მისი ხელდასმულია. მათ შორის მეც. თავიდან ყველანი ერთად ვიყავით. ამ განყოფილების შექმნაში ლომის წილი ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს უდევს. მისი წყალობით ათი წელია, რაც საკუთარი განყოფილება გამოეყო მიზნობრივად, დაინერგა ორთოდონტიული და ლოგოპედიური მკურნალობის ახალი მეთოდები.

გვერდით მყავან — ზურაბ ვადაჭკორია, ნინო ხვედელიანი, გია მიქაბერიძე, ლია პეტრიაშვილი. ისინი ჩემი გაზრდილები არიან. არაფერს ვიშურებ, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება გავილო მათთვის.

## მინი ინტერვიუ

### პედიატრიის ინსტიტუტის პრორექტორთან, საავადმყოფოს მთავარ ექიმთან გელა საყვარელიძესთან

— ბატონო გელა, ამდენი მადლიერი ადამიანი, პაციენტი, კოლეგა, სტუდენტი, თანამშრომელი, თაყვანისმცემელი ადამიანი, ვისაც კი კონტაქტი ჰქონია ქალბატონ მარიამთან, იშვიათად შემხვედრია. თქვენ რას გვეტყოდით, როგორც კოლეგა და ხელმძღვანელი?

— მთელი საათი არ მეყოფა ქალბატონ მარიამის დასახასიათებლად. ძალიან მოკლედ მოგახსენებთ: თუ რაიმე საქმიანი სიტყვა არსებობს, ყველა მიესადაგება მას, როგორც ექიმს, მოქალაქეს, შესანიშნავი ოჯახის დედასა და ბებიას, საოცრებითა და სიდარბაისლით ყველასაგან გამორჩეულ პიროვნებას. ბედნიერია და გადამწყვეტი არ უწერია ერს, რომელსაც მარიამ გრიგალაშვილის მსგავსი პიროვნებები ჰყავს.

**ნანული ბუკია**



მსხვერპლი სამშობლოს გულისთვის

# საქართველოს ერთიანობისათვის

[illegible] სახლიდან და აღარ დაბრუნებულა ტექნიკური უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი მიშიკო კორიძე. ის აფხაზეთში გაჰყვა გვარდიას, იბრძოდა გზიფის ხეობაში და გმირის სიკვდილით დაეცა...

მიშიკოს ვერის უბნის ძველ ქუჩებში სიარული უყვარდა. აქი, შორსაც არ წასულა — ვერის ეკლესიამ თავის კედელთან მიუჩინა სამუდამო ბინა.

მიშიკოს მშობლებმა, ქალბატონმა მარინემ და ბატონმა გიორგიმ შვილის დაღუპვის შემდეგ თავიანთი საქორწინო ბეჭდები საქართველოს ძლიერებას შესწირეს.

30 აგვისტოს გაგრიდან დარეკეს: მიშიკო დაჭრილიაო. მეზობლებმა უკვე იცოდნენ, რომ ბიჭი აღარ იყო ცოცხალი. დედას კი არ ეუბნებოდნენ. თუმცა დედის გული გრძნობდა უბედურებას.

... ყველაფერი იანვარში დაიწყო. ჯერ კიდევ სროლის ხმა აყრუებდა თბილისს, როდესაც მიშიკო კორიძემ ქალაქის დასაცავად წასვლა განიზრახა.

სპორტული აღნაგობის ძლიერი ახალგაზრდა, თბილისელ რაგბისტთა გუნდის წევრი ბარბაქაძის სპეცჯგუფში მიიღეს. შვილს დედის შეშფოთება არ უნდოდა და ხანაც შეეძლო, უმალავდა. ასევე არ გაუმხელია ოჯახისთვის აფხაზეთში პირველი გასვლის ამბავიც. საბედნიეროდ, მაშინდელმა ოპერაციამ მხოლოდ ათ დღეს გასტანა და მიშიკო კორიძე მალე დაბრუნდა შინ.

14 აგვისტოს, როცა მას 21 წელი შეუსრულდა, კვლავ გამწვავდა მდგომარეობა აფხაზეთში, დამალვა აღარ შეიძლებოდა და თავისი გადაწყვეტილება გაუმხილა დედას — პირველ მეხაიდუმლეს და მეგობარს.

— მისი სიტყვა ყოველთვის მოფიქრებული იყო. რასაც გადაწყვეტდა, უკან აღარ დაიხევდა, — გაიხსენა ქალბატონმა მარინემ. — ერთხელ სკოლაში მიმავალი შესწრებია: ორვანი ერთ ბიჭს სცემდნენ. უსამართლობამ აღაშფოთა, მიეხმარა დაჩაგრულს. ორივენი დაჭრეს, მიშიკო ბეწვზე გადარჩა.

აფხაზეთში ერთად წავიდნენ მიშიკო კორიძე და მისი მეგობარი რატი კიკალეიშვილი. გაგრასთან, გზიფის ხეობაში, სნაიპერის ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე რატის. ამის მნახველ მიშიკოს თავი არ დაუზოგავს და ისიც იმ დღესვე დაღუპულა...

მიშიკოს აფხაზეთში სამჯერ მისი უფროსი ძმა დათოც გაჰყვა, მაგრამ ძმები ერთმანეთს ვერ შეხვდნენ. დათომ ეშერაში შეიტყო ძმის სიკვდილი...

მიშიკო კორიძის თბილისში ჩამოსვენებას უამრავი ხალხი დაესწრო. მეგობარს მიშიკოს გულზე ჯვარი უნახავს, რომელიც უძენწკვოდ შერჩენოდა მკერდზე.

შვილისა და ძმის დაკარგვამ დაზაფრა დედ-მამა, და-ძმა. მათ სანუგეშებლად მთელი თბილისი მოვიდა. როდენის ქუჩაზე, ქართულაიშვილის სახლში... და მოხდა ისე, რომ კორიძეებმა შვილის დაკარგვის შემდეგ მთელი თავისი სიყვარული იმ ყმაწვილებზე გადაიტანეს, რომლებიც დღეს აფხაზეთში იბრძვიან საქართველოს ერთიანობისათვის. მათ ამბავს კითხულობენ, მათ მშობლებს თანაუგრძნობენ, გულს უმაგრებენ.

ამბობენ, კაცი არ კვდება, თუ მის საქმეს სხვები გააგრძელებენო. მიშიკოს საქმეს ახლა ათასობით მისი თანატოლი აგრძელებს.

— თურმე გმირი ჩვენს გვერდითაა, ჩვენს წრეში და მანამ ვერ ვამჩნევთ, სანამ სამშობლო არ დაუძახებს.

**თამარ ჩინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველა ქალს შეუძლია მომხიბლავი იყოს

## სილამაზის მისამართები

# ნუ დაღონდებით!..

„...21 წლის გავთხოვდი. სამი ბავშვის გაჩენის შემდეგ მკერდი სულ გამიქრა. მეუღლემ გული აიყარა ჩემზე. საყვარელი გაიჩინა. ჩემი ამ ნაკლის გამო ოჯახი მენგრევა. იქნებ არსებობს რაიმე საშუალება, რაც ჩვენს გასაჭირს უშველიდა. გთხოვთ დამეხმაროთ". გვწერს მწარედ შეწუხებული ახალგაზრდა ქალი. მსგავსი შინაარსის წერილები რედაქციაში სხვა დროსაც მოსულა. ჩვენ გვინდა ყველა მათგანის გასაგონად ვთქვათ: ნუ დაღონდებით. საშველი არის.

დღეს გიამბობთ ადამიანებზე, რომლებიც მშვენიერი სქესის აუხდენელ ოცნებებს რეალობად აქცევენ, რომლებსაც შეუძლიათ ბედნიერება აჩუქონ ქალებს და ფიზიკურ ნაკლთან ერთად წლების მანძილზე დაგროვილი სიმწრის ტვირთი მოაშორონ.



ოპერაციამდე

ოპერაციის შემდეგ

თბილისის მე-5 საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანების რეკონსტრუქციულ-პლასტიკური მიკროქირურგიის განყოფილებაში (ქინძმარაულის ქუჩა №1) ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური მუშაობისა და პაციენტების სიმშვიდისათვის. ყველგან ისეთი სისუფთავეა, იატაკზე ერბო აიკრიფება. ყველა ხალისითა და მონდომებით აკეთებს თავის საქმეს.

ავადმყოფის პატრონს არ უწევს დეფიციტური წამლების შესაძენად, კომერციულ აფთიაქებში სირბილი, რადგან პაციენტები ყველაფრით უზრუნველყოფილნი არიან.

— განყოფილებაში ძირითადად ვეგმიური, კონტურული პლასტიკის ოპერაციები კეთდება, — ამბობს განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ივანე კუზანოვი. — პლასტიკური ქირურგია ყველაზე ძვირი და, ამავე დროს, ურთულესია.

ოპერაციები მიკროსკოპის ქვეშ 8-10 საათს გრძელდება, რაც ქირურგისაგან მაღალკვალიფიციურობის გარდა, დიდ ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს.

აქ ამცირებენ თეძოს და მუცლის მოცულობას, ზრდიან ან აპატარავებენ სარძევე ჯირკვლებს, ალამაზებენ — ყურის ნიჟარებს, სახის კანს, თვალის ჭრილს, ოპერაციები მანდილოსნების ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის. საზღვარგარეთის ბევრ კლინიკაში სარძევე ჯირკვლის გასადიდებლად იყენებენ სილიკონის პროთეზს, რაც შემდგომ გართულებას იწვევს. ჩვენ კი გადავუნერგავთ ცოცხალ ქსოვილებს, ვაერთებთ სისხლძარღვებს და ნერვებს, რითაც ქალს ბავშვის ბუნებრივად გამოკვების ფუნქციაც უნარჩუნდება.

ჩვენთან მოდიან ყველა ასაკის მა-

ნდილოსნები, რომლებსაც ამა თუ იმ ფიზიკური ნაკლის გამო კიდევ უფრო დამძიმებული აქვთ ისედაც მძიმე დღევანდელობა. ორი-სამი კვირის შემდეგ კი ბევრად ლამაზები, მომხიბვლელები და, რაც მთავარია, ბედნიერები ბრუნდებიან ოჯახებში.

კონტურული პლასტიკის ოპერაციები ფასიანია. გადმორიცხული ფული ძირითადად დეფიციტური წამლების და საოპერაციო და შესახვევი მასალების შესაძენად იხარჯება. ხოლო ე. წ. ექსტრემალური ოპერაციები — ტრავმების შედეგად მოკვეთილი სხეულის ნაწილების აღდგენა — უფასოა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქალები სანამ სერიოზულად არ გახდებიან ავად, ექიმს არ მიმართავენ ხოლმე. გავრცელებული დაავადებები, სარძევე ჯირკვლების სიმსივნე და საშვილოსნოს ეროზია. მათი უყურადღებობის შედეგიცაა. ბევრი დაავადება საწყის ფაზაში ექვემდებარება მკურნალობას. ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს არასწორი კვებაც.

მალე ამოქმედდება სამედიცინო ფირმა „მედილაინი", რომელსაც სადაზღვევო, პროფილაქტიკური, სამკურნალო ფუნქციები დაეკისრება. ფირმას ეყოლება მუდმივი პაციენტები. ისინი წელიწადში ორჯერ სამედიცინო შემოწმებას გაივლიან მაღალკვალიფიციურ ექიმებთან, უზრუნველყოფილნი იქნებიან წამლებით და საჭიროების შემთხვევაში ოპერაცია უფასოდ გაუკეთდებათ.

ოპერაციები ნარკოზის ქვეშ კეთდება. ყოველგვარი შიში და ტკივილი გამორიცხულია. ასე რომ, სილამაზე ყოველთვის როდი მოითხოვს მსხვერპლს.

ახლა კი წარმოგიდგენთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე კუზანოვი (განყოფილების ხელმძღვანელი), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ჯემალ ჯიქიძე, თემურ კოპაძე, პაატა ტრაპაიძე, ალექსანდრე კალატაროვი.

ისინი სასწაულებს ახდენენ. დახედეთ ამ ფოტოებს და ამაში თავად დარწმუნდებით.

**მარინე ნაკაიძე**

# ანკეტას ავსებს „გრაფი მონტე-კრისტო"



## მსოფლიოს კინოვარსკვლავები

სრული სახელი — ჟან მარე-ვილენი

დაბადების წელი — 1913 წლის 11 დეკემბერი

დაბადების ადგილი — შერბური

ზოდიაქოს ნიშანი — მშვილდოსანი

სიმაღლე — 1 მეტრი და 80 სანტიმეტრი

წონა: — 85 კილოგრამი

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი — მარნ-ლია-კოკეტი

ოჯახური მდგომარეობა — უცოლო

უახლოესი ნათესავები — ვაჟიშვილი სერჟი

განათლება — საშუალო

მოწოდება — თეატრი

გატაცება — ფერწერა

სხვა პროფესიები — დეკორატორი, მომხატველი, თერძი, დალაქი მზარეული.

უცხო ენები — იტალიური, ინგლისური

ცხოვრების საუკეთესო პერიოდი — დებიუტი. პირველი წარმატება. პირველი საკუთარი ავტომანქანა.. პირველი ბინა.

საყვარელი პროზაიკოსები — დოსტოევსკი, სტენდალი, ბალზაკი, კამიუ, სარტრი, კოკტო.

პოეტური ნაწარმოებები — კოკტოს „ლეონია"

მხატვრული ტილო — ვერმერის „დოლბანდიანი ქალი"

კინორეჟისორები — კლემანი კლუზო, დელანუა, ჩაპლინი, ვისკონტი

ფილმები — ჩინგისხანის მემკვიდრეები, ვესტსაიდის ისტორია

კომპოზიტორები — ბახი, მოცარტი, ვაგნერი, დებიუსი, გერშვინი

მუსიკალური ინსტრუმენტები — როიალი

მომღერალი — აზნავური, პიაფი, ელლა ფიცჯერალდი

ისტორიული პირი — იესო ქრისტე

დღის რომელი დრო გირჩევნიათ? — საღამოს 9 საათი, როცა სცენაზე გამოვდივარ

თვე — ივნისი

ფერი — ლურჯი

ყვავილი — ვარდი

სუნამო — ფირმა გერლენის „მიცუკო"

რიცხვი — 7

ცხოველები — ძაღლი, ავაზა, ჯიქი

ლითონი — ოქრო

ქალაქი — ათენი, ვენეცია

მოცალეობის ჟამს — ფერწერა, კითხვა

თამაში — ჭადრაკი, პოკერი

სტილი — მეთვრამეტე საუკუნე

გადაადგილების საშუალება — მანქანა, თვითმფრინავი

შეუბრალება — ზაფხული სამხრეთში

ქალების ტიპი — საშუალო სიმაღლის, ქერა, ლურჯთვალება, პატარა ცხვირით, პატარა ყურებით, კარგი ტანის.

თქვენი დევიზი — სიყვარული.

ი. იანუშევსკაიასა და ვ. დიომინის წიგნიდან „ჟან-მარე"

თარგმნა

**თინათინ ჩხიკვაძემ**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სიმშვიდე, სიწყნარე ცოტა ხნით მაინც“

ამ სამიოდე წლის წინათ ჩემმა მეგობარმა, გამოჩენილი ქირურგის, პროფესორ მიხეილ ჩაჩავას მეუღლემ, ექიმმა და მხატვარმა ქალმა ნინო ირემაძე-ჩაჩავამ მთხოვა წიგნი დამეწერა მის დაზე, ცნობილ მთარგმნელ ქალზე ქეთევან ირემაძეზე. წიგნი დაიწერა, მაგრამ ქაღალდის დეფიციტის გამო დღესაც დაუბეჭდავია.

ვინაიდან წლეულს სექტემბერში 80 წელი შეუსრულდებოდა ქეთევან ირემაძეს, გადავწყვიტე დამებეჭდა ნაწყვეტები ამ წიგნიდან.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციას ვთავაზობ მწერალი ქალის დღიურებს. ვფიქრობ, ეს დღიურები მკითხველს სულ სხვა კუთხით დაანახებს შემოქმედი ქალის სულიერ ცხოვრებას.

**შუშანა მგელაძე**



ქეთევან ირემაძე და შალვა რადიანი

2 ნოემბერი

საღამო ხანია, გავიარე იონა ტუსკიასთან, იონა ჭეშმარიტად ხელოვანია, კარგი და კეთილი ადამიანი. აღელვებულია თავისი მომავალი ოპერის გამო, მიამბო, თუ როგორ მოხსნეს ეს ოპერა ლიბრეტოს გამო, მაგრამ ზოგიერთ პირთა ჩარევით კვლავ განაახლეს. მოიგონა შოსტაკოვიჩის ამბები და ისიც, თუ თვითონ, როგორც კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელმა, როგორ ჩაატარა მოხსენება მის შემოქმედებაზე, მოხსენება ლმობიერი იყო, რაც თავის დროზე „პრავდამაც“ აღნიშნა. შოსტაკოვიჩი მოსკოვში მეტად ამრეზილი შეხვდა მას. შევატყვე შოსტაკოვიჩის და რამდენიმე მუსიკოსის ჩამოსვლა ამა წლის ნოემბრის დამლევს ქართული მუსიკის დეკადისათვის იონას აღელვებს.

4 ნოემბერი

შუადღისას დამირეკა ნუცა ჩხეიძემ, კმაყოფილებით მაცნობებს, რომ „ღალატის“ დადგმა უცვლელად არის განზრახული.

4 ნოემბერი

სადილად ჩვენთან არიან: აკაკი გაწერელია, მიქელ პატარიძე, ვ. წითლანაძე, შემდეგ ქ. გამსახურდიაც გვეახლა. პატარიძე ობუნჯობს, გაწერელია ეკამათება წითლანაძეს. იწყება ლექსობა. დიდი პათოსით კითხულობს პატარიძე მაიაკოვსკის „მზეს“, ესენინის „დედასთან მიწერილ წერილს“, ემილ ვერჰარნის „რიერაფს“, შემდეგ თავის თარგმანებს, ხოზე მარი ჰერედიას, სევერიანინის ბოჰემურ ლექსს „ანანასი“, ვერლენის „შემოდგომას“. ბოჰემურ განწყობილებაზეა ყველა, თუმცა თვითონვე უარყოფენ და თან დასძენენ „ზოგჯერ ამგვარი ლექსების მოსმენაც ურიგო არ არისო“.

18 ნოემბერი

მთელი დღე ვმუშაობდი, საღამო ხანს მოვიდნენ ნუცა ჩხეიძე და ირინე ტუსკია. ირინემ მომიტანა შესანიშნავი თაიგული ვარდებისაგან. ისინი ჩემი სუსტი მხარე — ყვავილები ხომ მუდმივი თანამგზავრები არიან ჩემი.

ჩემს წარმატებას დიასახლისობაში უკვე აღნიშნავენ. მოეწონათ ჩემი ნამცხვრები.

ცხრა საათზე გავემართეთ თეატრალურ ინსტიტუტში, მე-4 კურსის სტუდენტები თამაშობდნენ ოსტროვსკის „ნიჭსა და თაყვანისმცემლებს“. მეორე მოქმედების შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთევან ირემაძე



ქეთევან ირემაძე. გალაკტიონი. შალვა რადიანი



დები — ქეთევანი და ნინო დედ-მამასთან

ვენებისას მომიახლოვდა აკაკი ხორავა და მეუბნება: — ლექციის კითხვის დროს, ამ თხუთმეტი წუთის წინ, ვანო ჯავახიშვილი გარდაიცვალა". რა თავზარდამცემი ამბავია. დარბაზს მოედო ახალი ამბავი, საერთო გუგუნია, ვთხოვე შალვას შინ წასვლა. წამოვედით. თან ნუცაც გამოგვყვა.

22 ნოემბერი

შალვა მაუწყებს, დღეს იმართება ლიტერატურული საღამო მიძღვნილი გ. ტაბიძის შემოქმედებისადმი. მომხსენებლად გამოყოფილია შალვა. წავედით. მიუხედავად თანამედროვე პოეტთა ბაქიობისა, არც ერთი პოეტი არ სარგებლობს ესოდენ დიდი სიყვარულით და პატივისცემით, როგორც გ. ტაბიძე. ეს პატარა საღამოც ამის დამადასტურებელია. უნდა აღინიშნოს ერთი რამ, გალაკტიონის ლიტერატურულ საღამოებს რატომღაც არ ესწრებიან ეგრეთწოდებული მეოცე საუკუნის პოეზიის „მწვერვალები". საღამოზე თვითონ გალაკტიონმა წაიკითხა „დროშები ჩქარა" და „რევოლუციურ საქართველოდან" ნაწყვეტები.

28 ნოემბერი

მოსაღამოვდა. შუქი არ არის, ჩვენი ბინა სასაფლაოს მოგვაგონებს, ავანთეთ ნათურა, მივუსხედით მაგიდას, შალვა თავის ახალ წიგნზე მუშაობს „მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია", მე ჩვენს წარსულს დავტირი.

2 დეკემბერი

გ. ქიქოძემ დააბრუნა ჩემი თარგმანი — ბენჟამენ კონსტანის „ადოლფი", თავიდან ბოლომდე გადაუთვალიერებია, აქა-იქ ცვლილებებიც შეუტანია. წინასიტყვაობაში ამოუღია ის ადგილები, რომელიც განსაკუთრებით კარგად მეჩვენებოდა. უთუოდ აღვადგენ, რადგან ეს ჩემი ჭირვეულობის მიზეზი როდი გახლავთ, დეე, ქართველი მკითხველი გამოვიდეს ხანდახან საშუალო ან უკეთ ჩვეულებრივი მკითხველის მოთხოვნილების ჩარჩოდან და შეიტყოს ან გაარკვიოს ის, რაც საერთოდ უცნაურია მისთვის.

ალბათ ამ მოსაზრებით გამოდის გ. ქიქოძე, როდესაც იღებს ისეთ ადგილებს, მაგალითად, როდესაც მადამ სტალის „კორინას" და „ადოლფის" ერთგვარობაზე ვსაუბრობთ. ანდა, როდესაც მომყავს სტილის დახასიათება ბენჟამენ კონსტანტის „ინტიმური ჟურნალიდან".

ზოგჯერ ამა თუ იმ ავტორის მითითებასაც გავურბი, რადგან არ ვიცი, ვინ არის.

8 დეკემბერი

რაღაც შეუძლოდ ვარ, თითქოს სიცხეც მაქვს, შალვა აღელვებულია, არ ვიცი, რაშია საქმე! იგი ხომ ყოველივე უმნიშვნელო უსიამოვნებასაც მიმალავს და ამის მიზეზი ისევ მე გახლავართ, რადგან ჩემივე უცნაური თვისება ამა თუ იმ მოვლენისა, აიძულებს მას ასე მოიქცეს. ხანდახან მშურს გულგრილობა სხვათა. ვერ იქნა ვერ გამოვიმუშავე ჩემში ეს „მოუცილებელი" თვისება. საღამო ხანს მაცნობეს გ. ლეონიძე ჩამოსულა, მთხოვეს ავიდე მათთან, ველარ წავედი, სიცხემ მომიმატა.

11 დეკემბერი

დღეს შედარებით არა მიშავს, შალვა გაზეთს უშვებს, იგი მთელი დღე შინ არ იქნება. დღესაც ვთარგმნე ორიოდე თავი, გრძნობის სიახლე და გულწრფელობა, აი რა მიზიდავს ამ წიგნში. ზოგი სენტენციები პირდაპირ თავბრუდამხვევია, ენის ლაკონურობას ხომ აღტაცებაში მოვყავარ, საკვირველია, ზოგიერთთა თქმით, იგი კლასიკური ნაწარმოები არ არისო...

22 დეკემბერი

დავიღალე. დავასრულე მე-17 თავის თარგმანი, გიორგი ლეონიძემ დამირეკა და გამაფრთხილა, რომ 28 დეკემბერს მისი დაბადების დღეა, საჭიროა ამ თარიღის აღნიშვნა.

28 დეკემბერი

საკმაოდ ორიგინალური საჩუქრით ვეახელით. ეს გახლავთ ფაიფურის სამელნე, რომელიც გამოსახავს ჯამზე წამოწოლილ პუშკინს, რვეულით და ფრთით ხელში, აქვე დევს მისი ტომიც, რომელიც წარმოადგენს სამელნის სახურავს. მაშინვე მიაშურა თავის საწერ მაგიდას გიორგიმ. ძველი სამელნე მოაშორა იქაურობას და ახალი დაიდგა. ვნახოთ, რას დაწერს ამით.

30 დეკემბერი

დღეს დიდი ჟრიამულია, ხვალ ახალი წელი იწყება, ვნახოთ რა იქნება იგი პირადად ჩემთვის. დაღლილსა და დაქანცულს, ხალისდაკარგულს განცდილ უბედურებებისაგან, არ ვიცი, რას მომცემს 1941 წელი. სიმშვიდე, სიწყნარე, ცოტა ხნით მაინც, იგი გარკვეულ ჩარჩოში მომათავსებს და ყოველ ჩემს მოქმედებას თანაზომიერს გახდის. დიდი სულიერი მღელვარება, დაუსრულებელი ჯიჯგნა. დაუძლეველი ეჭვი უფსკრულამდე მიმიყვანს. შალვამ გადმოცა. შეიძლება რამდენიმე თანამოკალმენი მოვიდნენ ჩვენთან ახალი წლის შესახვედრად. არასოდეს არ შევხვედრივარ ახალ წელს, იმიტომ კი არა, რომ არ მწადდა. არასოდეს არ მქონია ამისთვის შესაფერი მდგომარეობა, ყოველივემ მოლოდინს გადააჭარბა. შეიკრიბნენ გ. ლეონიძე — მეუღლით, დემნა შენგელაია, ბესო ჟღენტი, შალვა აფხაიძე, თორმეტი საათის შემდეგ შეიქმნა ტელეფონის ზარის რეკვა და დაიწყო მოლოცვები. გვილოცავენ: ს. ეული, ნ. ჩხეიძე, მარიჯანი, ირინა ტუსკია, რომელიც მაუწყებს, რომ ვერ მოვლენ, რადგან იონა მეტად უგუნებოდ არის. მინდოდა დედისათვის მეც დამერეკა, მაგრამ გადავწყვიტე, არ გავაღიზიანო. სულ ცოტა ხნის შემდეგ ყველანი გამოცოცხლდნენ, მხიარულებამ აიტაცა ისინი. თუმცა იყო მომენტი, როდესაც მიცვალებულთა ხსოვნისათვის დალეულმა ჭიქამ ცრემლიც აღგვრევინათ. საკვირველი იყო ჩემი მდგომარეობა. იმ წუთებში მე სულ სხვა ადამიანი ვიყავი, დამიბრუნდა ბავშვური უზრუნველობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ჩვენმა საზოგადოებამ იცის, 1990 წელს ქვემო ქართლში შეიქმნა დმანისის ქართული დრამატული თეატრი. ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება საქართველოს სახალხო არტისტის ზინა კვერენჩხილაძის დღიურები, რომლებიც ამ თეატრის შექმნას ეხება.

# ჩვენი სულის ნაწილი

1990 წელი. 19 იანვარი. წყლის კურთხევის დღე, რელიგიური დიდი დღესასწაული — „ნათლისღება უფლისა ღვთისა მაცხოვარისა ჩვენისა".

ჭეშმარიტად ბედნიერ იყო დღე იგი, რადგან თვით უფალმა ინება, რომ სწორედ ამ დღეს მირონცხებულიყო ქართული სიტყვის, ქართული სულის, ქართული გენის სადიდებელი ადგილსამყოფელი — ქართული თეატრი, რომელმაც ერთნაირად გაახარა დიდი და პატარა.

ნამდვილი საყოველთაო დღესასწაული სუფევდა ქვემო ქართლის უმშვენიერეს მიწაზე — დმანისში, სოფელ განთიადში. ზეიმობდნენ თავისი თეატრის, დმანისის დრამატული თეატრის „ქვემო ქართლის" დაბადების დღეს, რომელიც სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აკურთხა და დამოძღვრა.



თეატრი მოლოდინით გუგუნებდა. ვღელავდით ყველა, ჩვენც და მაყურებელიც. მოახლოვებული სიხარულის ქვეცნობიერი შეგრძნება არ გვასვენებდა.

დარბაზში სინათლე ჩაქრა. დაირეკა საეკლესიო ზარები. დარბაზმა სული განაბა. სპექტაკლი დაიწყო.

საგალობელ „წმინდაო ღმერთოს" ფონზე მსახიობები, ღვთისმსახურთა დარად სანთლებით ხელში, სარიტუალო ნელი სვლით გამოვიდნენ სცენაზე და კრძალვით მიეახლნენ სცენის სიღრმეში დაკიდებულ სულმნათ ილია ჭავჭავაძის პორტრეტს. მოწიწებით დაანთეს შანდალზე დაგებული ცხრამეტი სანთელი და ჩუმად ილოცეს მისი სულის სადიდებელი.

სცენა რომ პირველად აბრიალებული სანთლების შუქმა გაანათა, ეს ნიშანდობლივი იყო, რადგან ილია მართლის მშვიდი და სათნო ღიმილი, სწორედ სანთლის შუქზე უნდა ამონათებულიყო, ვით წმინდა ხატება ხალხის გულში სატარები.

ასეთ ამაღლებულ გარემოში ავანსცენისკენ გამოემართა სამი მსახიობი, სამი მანდილოსანი.

სცენაზე დომინირებდა სამი ფერი-თეთრი, შინდისფერი და შავი. ესეც ნიშანდობლივი იყო. მსახიობები მონაცვლეობით ქადაგებდნენ ილიას სიბრძნეს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამასაც არ ვუპატრონეთ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას". მართლაც, რა პასუხს გავცემთ მომავალ თაობას, დროზე თუ არ მივხედეთ, არ მოვუარეთ და არ ვუპატრონეთ ქვეყანას ჩვენსას.

ილიას სიბრძნით მონუსხული მაყურებელი თვალს ადევნებდა ამ უჩვეულო, ამაღლებულ, ლამაზ გარემოს და ცდილობდა გაეცნობიერებინა, თუ რა ძალა იყო ის, ასე რომ აფორიაქებდა მის სულსა და გონებას, რა და, ეროვნული ღირსების შეგრძნება, რომელიც მძლავრად ეუფლებოდა და მთლიანად იპყრობდა მის არსებას. განა შეიძლება მშვიდად უსმინო სიტყვებს: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო. დიახ! მართლაც ასეა. ჩვენი, მთლიანად ჩვენი უნდა იყოს და არა უცხო ტომთან საზიარო.

რა დროულად გაისმა ეს სიტყვები იმ მიწა-წყალზე, სადაც ისტორიულად ბედის უკუღმართობის გამო სულ საზიარო ჰქონდა ქართველ კაცს წყალიცა და მიწაც.

სპექტაკლი, მართლაც მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, როგორც თვით ავტორი, ვისი ნაწარმოებების მიხედვითაც შეიქმნა ლიტერატურული კომპოზიცია „ჩემო კალამო". ჩვენი ღრმა რწმენით პირველ სპექტაკლად და პირველ წარმოთქმულ სიტყვად ამ თეატრის სცენაზე მხოლოდ და მხოლოდ ეს უნდა ყოფილიყო.

სპექტაკლის მაღალმხატვრულობას განაპირობებდა ისიც, რომ სცენაზე იდგნენ თეატრალური ხელოვნების ისეთი წარმომადგენლები, რომელთა მაღალპროფესიულ და მოქალაქეობრივ პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი გეგეჭკორი და გიორგი ხარაბაძე, აკაკი ხიდაშელი და ანსამბლი „ფაზისი" დიდებული ლოტბარის ჯუმბერ ყოლბაიას თავკაცობით. მათ გვერდს უმშვენებდნენ ახალგაზრდა მსახიობები: ხათუნა ბოკუჩავა, ვერიკო შოშიაშვილი, ბელა ფანჩულიძე, ზაზა მაღალაშვილი, კობა ცხაკაია, ზაზა დარსალია და თქვენი მონა მორჩილი.

განსაკუთრებული ძლერადობა შეიძინა საფინალო სცენამ, როცა ილიას პორტრეტთან ცეცხლისფერი ვარდებით ხელში მსახიობი ქალი ცრემლნარევი ხმით ევედრებოდა ღვთისმშობელს, რომ დაეფარა, გადაერჩინა, აღედგინა მშვენიერი ესე მამული მისი. ამას მოჰყვა „ფაზისის" შესრულებით „ჩემო კარგო ქვეყანავ". აი, მაშინ კი ნამდვილი მაგია დატრიალდა დარბაზში. გულში ჩამწვდომმა მელოდიამ მაყურებელი მოაჯადოვა. მღეროდა ყველა და მათ თვალებში სიხარულის ცრემლი კიაფობდა. თეატრს ხომ უდიდესი ზემოქმედებითი ძალა აქვს!

დამთავრდა სპექტაკლი და გაისმა შეძახილები მადლობის, თანაგრძნობის და სიამაყისა, რომ შენს მიწა-წყალზე შეიქმნა კიდევ ერთი ქართული თეატრი, და რაც მთავარია. იქ, სადაც აგრერიგად საჭირო იყო იგი, როგორც ჰაერი, როგორც საზრდო სულისა — სულიერი საზრდო მრევლისა.

დამთავრდა სპექტაკლი და მისგან გამოწვეული პირველი სიხარული. თითქოს სკვდა ჩამოწვაო, მაგრამ არა, ახლა სულ სხვა სიხარულმა მოიცვა ჩვენი გულები. გვახარებდა ის, რომ დიდმნიშვნელოვან აქციაში მივიღეთ მონაწილეობა — სრულიად უანგაროდ გავიღეთ ჩვენი სულის ნაწილი, ჩვენი სითბო და სიყვარული და ამით ჩვენი ადამიანური, მოქალაქეობრივი წვლილი შევიტანეთ საქართველოს განმანთავისუფლებელი მოძრაობის დიად საქმეში.

ზინა კვერენჩხილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუთ და მაქს ზაიდევიცები

ახლო წარსულიდან

# გერინგის ქალიშვილის სასამართლო პროცესი

1938 წლის 2 ივნისს რადიომ გადმოსცა, რომ გერინგს ქალიშვილი ეყოლა. გერინგის მეუღლემ, მსახიობმა ემი ზონემანმა ბერლინის სამშობიაროდან ქმარს დეპეშა გაუგზავნა: „ჰერმან! ემი და ედა გითვლით სალამს! ჰაილ".

ამას მოჰყვა უამრავი მისალოცი დეპეშა და ნათლობის საჩუქრებით დატვირთული ვაგონები. თვით ჰიტლერი, როგორც ნათლია, კარინჰალეს სასახლეში გამართულ ზეიმს ესწრებოდა. სამხედრო ავიაციამ თავის პირველი შეფის ქალიშვილს კარინჰალეს მახლობლად სასახლე აუშენა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 1938 წლის ივნისი, უძვირფასესი საჩუქრები და საამშკარაოზე გამოვიტანოთ ერთი მათგანი: ლუკას კრანახი უფროსის ტილო — „მადონა ჩვილით ხელში". ეს ტილო გერინგმა ქალაქ კიოლნის მაშინდელი ნაცისტის, დოქტორ შმიტისაგან მიიღო ქალიშვილის ნათლობის საჩუქრად. ომის დამთავრების შემდეგ ქალაქმა კიოლნმა სურათი მოითხოვა. გამოთქვამდნენ აზრს, რომ ყოვლისშემძლე გერინგმა სურათი ძალით მიითვისა. შემდეგ ამ ტილოზე პრეტენზია გერინგის ქალიშვილმა განაცხადა. ქალაქ კიოლნის დავას ედა გერინგის წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიაში ოცი წელი იხილავდნენ.

ქალაქ კიოლნის აზრით კრანახის საქმე ასე დაიწყო: 1937 წელს გერინგის შტაბის უფროსმა დოქტორმა გრიცბახმა წერილობით აცნობა კიოლნის ვალრაფ-რიხარცის მუზეუმის დირექტორს, რომ რაიხსმარშალი საზღვარგარეთ აპირებდა ძველი გერმანული სურათის შეძენას და დახმარებას სთხოვდა მას.

კიოლნის მუზეუმს ჰქონდა ფლორენციელი მხატვრის გოცოლის 200 ათას მარკად ღირებული ტილო და მის გაყიდვას აპირებდნენ. ამ ტილოს შეძენა უნდოდა გერინგს იმ პირობით, რომ შემდეგ კრანახის მადონაში გაეცვალა.

ამიტომ გერინგის შტაბის უფროსმა წინადადება მისცა მუზეუმის დირექტორს გოცოლი კრანახში გაეცვალა. სპეციალისტებმა იცოდნენ, რომ ხელოვნების ამ ნიმუშს თუ საზღვარგარეთ გაყიდდნენ, დიდ ვალუტას შემოიტანდა, ხოლო თუ გაცვლიდნენ, ქალაქი კიოლნი ხელოვნების სხვა ნიმუშს შეიძენდა. გარდა ამისა, კრანახის „მადონა ჩვილით" მაშინ 50 ათას მარკად იყო შეფასებული, ხოლო იტალიელი გოცოლი — 200 ათას რაიხის მარკად. მუზეუმის დირექტორს ეს გარიგება შეუძლებლად მიაჩნდა, რადგანაც 150 ათასი რაიხის მარკის ჩუქება გამოდიოდა. მუზეუმმა უარი განაცხადა ასეთ არახელსაყრელ გაცვლაზე.

კიოლნის ნაცისტმა ბიურგერმაისტერმა ტილო 50 ათას რაიხის მარკად შეიძინა და ქალაქ კიოლნის სახელით გერინგს გადასცა.

ასე მოხვდა გერინგის შვილის საკუთრებაში ეს სურათი. როცა მეორე მსოფლიო ომი ჰიტლერელთა დამარცხებით დამთავრდა და ნიუნბერგის ტრიბუნალმა გერინგს სიკვდილი მიუსაჯა, ედა ჯერ კიდევ ბავშვი იყო. არც მას, არც ქალაქ კიოლნს, არც მუზეუმს კრანახის სურათისთვის არ ეცალათ. მხოლოდ 1949 წელს აღძრა ქალაქმა კიოლნმა საჩივარი კრანახის შედევრის დაბრუნებაზე. 1960 წელს სასამართლომ გერინგის სურათის კუთვნილება გააუქმა და კიოლნის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე, მაგრამ ედა გერინგმა, მიუნხენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა განაჩენი გააპროტესტა. ასე გადაინაცვლა აქტებმა უმაღლეს სასამართლოში, რომელმაც გერინგის ქალიშვილის ნათლობაზე მირთმეული ძღვენი ტრადიციების დარღვევად არ ჩათვალა და სურათი მას მიაკუთვნა.

გერინგის საქმოსანმა ქალიშვილმა მემკვიდრეობის გარშემო ამტყდარი დავაც მოიგო. ბავარიის სახელმწიფომ მას ოჯახის მფლობელობაში არსებული (150 ათასი მარკის ღირებულების) სამკაულები გადასცა. კიოლნის უმაღლესი სასამართლოს განაჩენით ედას თავისად ეგულებოდა კრანახის ტილო, მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ქალაქმა კიოლნმა ამ განაჩენის პასუხად საკასაციო საჩივარი შეიტანა.

ბოლოს, ქალაქ კიოლნის ცნობათა ბიურო იტყობინებოდა, დამთავრდა დავა მადონაზე. კიოლნის მუზეუმს კვლავ ამშვენებს კრანახის „მადონა ჩვილით". ამ ტილოს ღირებულება ამასობაში 50 ათასი მარკიდან რამოდენიმე მილიონამდე გაზრდილა.

გერმანულიდან თარგმნა
**მედეა კოღუამ**



პოლონური იუმორი

# სიხარული

კრისტინა ჟივულსკა

ერთმა ოჯახმა მოიპატიჟა მეორე.

ჩვენო საყვარელნო! — მისწერეს გახარებულებმა თანხმობის მიღების შემდეგ, — ძლვა სიხარულია ჩვენს ოჯახში. როგორც იქნა, გადაწყვიტეთ ჩვენთან ჩამოსვლა. რამდენიმე დღეც და ჩვენთან იქნებით. ძნელია გამოვთქვათ ჩვენი უსაზღვრო სიხარული.

მთელი ჩვენი ბინა თქვენს განკარგულებაშია, ჩვენო უძვირფასესნო! მაგრამ უნდა გითხრათ, ახლა განსაკუთრებით გვესაჭიროება თქვენგან დამშვიდება. ჩვენმა ვაჟიშვილმა — ბოლეკმა, რომელიც ისე გაიზარდა, ველარც კი იცნობთ, სკოლიდან მგონი ტიფი მოიტანა და სახლში წევს. არავითარ შემთხვევაში არ გვინდა საავადმყოფოში გადაუყვანა.

ქალიშვილი აგნიეშკა (ისიც გაიზარდა და დამშვენდა. თქვენს ტერეშკას, რომელიც ძალიან გვენატრება, მისი სახით ეყოლება შესანიშნავი ამხანაგი — გამრთობი) ერთი კვირაა წევს. ეჭვი აქვთ, აგრეთვე ტიფზე, მაგრამ ექიმები უარესსაც გვიქადიან.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი პაწაწინა ოთახი მყუდრო სამზარეულოთი ძალზე მოგეწონებათ, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან გასარემონტებელია. ბინაში ნესტია. გაურკვეველია საიდან გაჩნდა. ხოლო რადგან ჩვენთან ცენტრალური გათბობა არ მუშაობს, ვერ გაშრა. მოუთმენლად გელით, სასწრაფოდ შეგვატყობინეთ, რომელი მატარებლით ჩამოხვალთ; პერონზე შეგხვდებით.

გკოცნით, მალე შეხვედრამდე".

თარგმნა **ინგა ქაქაბაძემ**

# ბავშვის ბლუზონები

გოგონას ან ბიჭუნას ბლუზონის შეკერვა ნებისმიერი ტრიკოტაჟის ქსოვილისაგან შეიძლება. თუ ახალი ქსოვილი არა გაქვთ, გამოიყენეთ ძველი, ჩასაცმელად უკვე უვარგისი, სხვადასხვა ფერის ტრიკოტაჟის ბლუზები და ქვედა ბოლოები. ყოველ ძველ ქსოვილში აუცილებლად იქნება კარგად შემონახული ადგილები. ამოჭერით ისინი, გარეცხეთ და კარგად გააუთოვეთ. გაუთოებისას ნუ გაჭიმავთ ქსოვილს. თუ ქსოვილი ძლიერ არის გაფუჭებული, პატარა ნაჭრებად დაჭერით და კომბინაცია მეტი ნაჭრებისაგან შეადგინეთ. თუ დიდი ნაჭრები გაქვთ, გამოიყენეთ ორი ან სამი ფერი. სურათზე ნაჩვენებია თარგი, რომლის მიხედვითაც გამოჭრით ბლუზის ფორმას; მანამდე კი, გამოჭერით ქაღალდის თარგი, დაიდეთ წინ და კარგად გაიაზრეთ ნაჭრების რა შესაძლებლობები გაგაჩნიათ და როგორ გსურთ მასზე კომბინაციის განლაგება. გააკეთეთ მეორე ასეთივე თარგი. ის უკვე შეგიძლიათ გამოჭრათ ხწორედ ისე, როგორი ნახატსაც აკეთებთ ბლუზონზე. ცალკეული ნაწილის მიხედვით ქსოვილზე შემოხაზავთ (თხელი, გალეული მშრალი საპნით) ფორმას და გამოჭრით





იხე, რომ თარგის გარშემო 1,5 -2 სმ დარჩეს, რათა ნაკერის გაკეთება ზუსტად თარგზე შეძლოთ.

ბლუზონის ასეთ ფორმას შეიძლება საყელო და ჯიბე დაუმატოთ, მაგრამ აუცილებლად უნდა მიკერდეს მანჟეტები (მოცემულია ნახაზზე ზომების გარეშე) და ქვედა სარტყელი, რომელიც ან ნაქსოვი უნდა იყოს ან იგივე ტრიკოტაჟის ქსოვილის. მიკერებამდე მანჟეტი და სარტყელი ბავშვს მოაზომეთ. ბლუზონის ქვედა ნაწილი უფრო ფართო იქნება, ამიტომ მიკერების დროს სარტყელი უფრო მოჭიმეთ, ვიდრე ბლუზონის ქსოვილი, ასევე მიაკერეთ მანჟეტებიც.

თარგი შეგიძლიათ გაადიდოთ ან დაამპატარავოთ. გახსოვდეთ, რომ მისი ზომა 5 სმ-ით უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე ბავშვის ზომები, რათა ბლუზონი თავისუფლად და მოდურად გამოიყურებოდეს. თარგზე მოცემული ზომები შეესაბამება ბავშვის შემდეგ ზომებს: მკერდის გარშემოწერილობა: — 58 სმ. წელის ზომა: — 55 სმ. თეძოს ზომა: — 62 სმ.






თამარ ბეგეჭკორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეთრი პულოვერი რელიეფური ნახჭით

**ზომა 46-48**

თეთრი შალის მსხვილი ნართი 800 გრ.

**ჩხირები № 3.**

**ქსოვის სახე:** რეზინი IXI, რელიეფური რომბები, კალათისებური წნული და მუწუკები.

რელიეფური რომბები იქსოვება თვლების გადაადგილებით. ნიმუშისათვის აილეთ 25 თვალი.

1 რიგი — 9 უკუღმა, 3 წაღმა, 1 უკუღმა, 3 წაღმა, 9 უკუღმა.

2 და ყველა რიგი უკუღმა პირზე — ყველა თვალი წაღმა.

3 რიგი — 8 უკუღმა, 1 უკუღმა და 3 წაღმა თვალი გადაანაცვლეთ, ე. ი. 3 წაღმა თვალი გადაიტანეთ დამხმარე ჩხირზე, მე-9 უკუღმა თვალი გადაიტანეთ მარცხენა ჩხირზე (მოაქციეთ წინა მხარეს) და ჯერ წაღმა თვალი გამოქსოვეთ წაღმით, შემდეგ 2 უკუღმა, 3 წაღმა გადაიტანეთ დამხმარე ჩხირზე (ასევე წინა მხარეს მოაქციეთ), 1 უკუღმა და შემდეგ 3 წაღმა, 8 უკუღმა, ე. ი. სამ-სამი წაღმა თვალს შუა აღმოჩნდება 3 უკუღმა თვალი, რომელთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს თვლების გადანაცვლების ხარჯზე 13 თვლამდე. ამის შემდეგ თვლების გადანაცვლება ხდება საპირისპირო მიმართულებით ე. ი. თუ აქამდე 3 წაღმა თვალი გადადიოდა თითო უკუღმა თვალზე მარცხნიდან მარჯვნივ, ახლა პირიქით, მარჯვნიდან მარცხნივ უნდა გადავიდეს. ასე მიიღებთ რომბის ფორმას.

რომბის სიდიდე თქვენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ე. ი. რომბის შუამდებარე უკუღმა თვლების რაოდენობას გინდ გაზრდით, გინდ შეამცირებთ. რომბის გული შეგიძლიათ მოქსოვოთ სხვადასხვა ნახჭით, უკუღმა თვლებით, წვრილი ბუკლეთი და სხვა.

**კალათისებური წნული.**

ნიმუშისათვის აილეთ 20 თვალი.

4 რიგი მოქსოვეთ წინდური ქსოვით (წაღმა პირზე ყველა თვალი წაღმა, უკუღმა პირზე — უკუღმა).

5 რიგი — 3 თვალი გადაიყვანეთ დამხმარე ჩხირზე და მოაქციეთ ნაქსოვის უკან, ჯერ მომდევნო 3 თვალი გამოქსოვეთ წაღმა, შემდეგ დამხმარე ჩხირზე მდებარე 3 თვალი წაღმა, კვლავ 3 თვალი გადაიყვანეთ უკან დამხმარე ჩხირზე და ჯერ მომდევნო 3 თვალი გამოქსოვეთ წაღმა, შემდეგ დამხმარე ჩხირზე მდებარე 3 თვალი, ასევე გადააჯვარედინეთ ბოლო 6 თვალი.

6, 7, 8, 9, 10, 11 რიგი იქსოვება სულ წინდურად.

12 რიგი — 3 თვალი წაღმა, 3 წაღმა თვალი გადაიყვანეთ დამხმარე ჩხირზე და ნაქსოვის წინ მოაქციეთ, ჯერ მომდევნო 3 თვალი გამოიყვანეთ წაღმა და შემდეგ დამხმარე ჩხირზე მდებარე 3 თვალი, კვლავ 3 თვალი გადაიყვანეთ დამხმარე ჩხირზე და წინ მოაქციეთ, ჯერ მომდევნო 3 თვალი გამოიყვანეთ წაღმა და შემდეგ დამხმარე ჩხირზე მდებარე 3 თვალი, 3 წაღმა.

13-17 რიგის ჩათვლით მოქსოვთ კვლავ წინდურად.

18 რიგიდან ნახჭი მეორდება მე-6 რიგიდან დაწყებული.

**მუწუკები.**

ნიმუშისათვის აილეთ 14 თვალი.

1 რიგი — 1 თვალში 3 თვალი წაღმა, 3 თვალი ერთად უკუღმა. ასე მეორდება რიგის ბოლომდე.

2 და ყველა უკუღმა რიგი — ყველა თვალი უკუღმა.

3 რიგი — 3 თვალი ერთად უკუღმა 1 თვალში 3 თვალი წაღმა (ე. ი. კლებაზე მატება და მატებაზე კლება). ასე მეორდება რიგის ბოლომდე.

**ზურგი.** რეზინისათვის აკრიფეთ 80 თვალი და მოქსოვეთ 8 სმ რეზინით, IXI. ამის შემდეგ ერთ გავლაზე ერთდროულად უმატეთ 60 თვალი, მიღებულ 140 თვალს სამი სხვადასხვა ნახჭისათვის გაანაწილებთ შემდეგნაირად: 34 თვალი — რომბებისათვის, 26 თვალი — მუწუკებისათვის, შუაში 21 თვალი — კალათისებური წნულისათვის, კვლავ 26 თვალი — მუწუკებისათვის და 34 თვალი — რომბებისათვის.

ქსოვეთ დაკვირვებით, რადგან ნაქსოვი საკმაოდ რთულია, სამ სხვადასხვა ნახჭს შეიცავს. სამაგიეროდ თარგი არ დაგჭირდებათ, არც არავითარი კლება-მატება ან იღლიის გამოყვანა. მხრამდე 70 სმ. იქსოვება უცვლელად და ბოლოს ყველა თვალს ერთად დახურავთ.

**წინა კალთა** ზუსტად ასევე იქსოვება, ოღონდ ბოლოდან 61 სმ-ზე გააკეთებთ საყელოს ჭრილს შემდეგნაირად: შუაში (აქეთ-იქით თვლების ერთიდაიგივე რაოდენობა უნდა დარჩეს) ერთ გავლაზე დახურავთ 20 თვალს. 5, 3, 2 და ქსოვთ სანამ უკანა კალთას არ გაუტოლდება. ასევე მოქსოვთ მეორე მხარეს. ნაქსოვს გაკერავთ მხრების ხაზზე და საყელოსათვის 90-100 თვალს ამოკრეფავთ. მოქსოვთ წინდური ქსოვით წრიულად 6 რიგს, შემდეგ ერთ რიგს გადაუვლით უკუღმა თვლებით (გადასაკეცი ხაზი) და კვლავ 6 რიგი წინდურად. მიიღებთ ქობას, რომელსაც ნემსითა და ძაფით შემოკეცავთ უკუღმა პირზე.

გვერდებს ჯერ არ ჩაკერავთ.

**სახელო.** გვერდის ნაწიბურზე ბოლოდან 45-ე სმ-ზე ამოკრიფეთ თვლები სახელოსათვის, მეორე რიგზე უმატეთ ყოველი 3 თვალის შემდეგ და მოქსოვეთ სახელო გვერდებზე თანდათანობითი კლებით, სანამ 50 თვალი არ დაგრჩებათ. მანჟეტისათვის დატოვეთ 45 თვალი და მოქსოვეთ რეზინით IXI. სახელოს სიგრძე საყელოდან 75 სმ-ია.

ბოლოს გვერდებს და სახელოებს ერთიანად ჩაკერავთ.

ნაქსოვი არ უთოვდება.

**ლატავრა თეთრაული**

# თავშესაქცევი გამოკვლევები

ტელეფონზე საუბრის ან თათბირზე ჯდომის დროს ხშირად ჩვენდაუნებურად ქაღალდზე გამოგვყავს სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფიგურები. ნუ გადააგდებთ მათ! როგორც ფსიქოლოგები თვლიან, „კარაკულებს“ ბევრი რამის თქმა შეუძლიათ თქვენს ხასიათზე და განწყობილებაზე.

## სპირალები, წრეები, ტალღოვანი ხაზები

ესე იგი, სხვისი პრობლემები არ გაღელვებთ, მეტიც, ისინი ხელსაც გიშლიან. თუ იძულებული ხართ სხვისი საქმეებით დაინტერესდეთ, ერთი სული გაქვთ, როდის მორჩებით მათ გარკვევას. რატომ? მთელი ყურადღება ახლა გადატანილი გაქვთ საკუთარ პერსონაზე.. შესაძლოა განიცდიდეთ მსუბუქ კრიზისს ან თქვენგან ელიან გადამწყვეტ პასუხს. თუ შეამჩნიეთ, რომ სპირალებს ხატავთ, გაითვალისწინეთ: ახლა თქვენ განსაკუთრებულად უნდა მიაქციოთ ყურადღება საკუთარ თავს, რათა არ აფეთქდეთ და მოსაუბრე არ შეურაცხყოთ.

## ყვავილები, მზე, ყვავილწნულები



საქმე არც ისე კარგად გაქვთ, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. პირიქით. ყველაზე მეტად მეგობრობასა და სინაზეზე ოცნებობთ. ენის წვერზე გადგათ სიტყვები: „მომაქციე ყურადღება“ და თქვენდა უნებურად ამას ფურცელზეც წერთ. თუ ყვავილებს ან მზეს ხატავთ, იჩქარეთ მოინახულოთ ახლო მეგობრები, ან უკიდურეს შემთხვევაში, ეცადეთ ხალხის წრეში იტრიალოთ.

## ბადე

გრძნობთ, რომ უხერხულ და სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდით. ყოველი მიზანმიმართული, მსხვილი ხაზი არის შეტევა, რომლის განხორციელებასაც ვერ ბედავთ. თუ ბოლოს ნახატს შემოხაზავთ, ნიშნავს, რომ პრობლემა აღარ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. თქვენ ხშირად ყლაპავთ წყენას. ეს კი სახიფათოა. სულში ჩმდენის გაცრუება გროვდება და თავს უბედურად თვლით.

## გადაჯაჭვული გულები

სავსე ხართ გრძნობებით. გინდათ მთელ სამყაროს მოეფეროთ. მიაქციეთ ყურადღება: რაც უფრო მკაცრია თქვენს მიერ წარმოთქმული სიტყვები, მით მეტ მასშტაბს იღებს ნახატი. ნუ იქნებით ასე ცივი და ნუ დამალავთ გრძნობებს, გამოხატეთ ისინი!

## ჩუქურთმები

მკვეთრი კუთხეები და ტალღოვანი ოვალები ერთიანდება მოტივში, რომელიც უსასრულოდ მეორდება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ მოგწყინდათ. ან ვთქვათ, ტელეფონზე საუბარი, ან საერთოდ თქვენი ცხოვრების წესი. მიილტვით ცვლილებებისკენ და ოცნებობთ ახალ განცდებზე, რომლებიც დაგეხმარებათ გათავისუფლდეთ აზრისგან, თითქოს ტყუილუბრალოდ კარგავთ დროს. სერიოზულად იფიქრეთ, როგორ შეცვალოთ ცხოვრება. შეიძლება წვრილმანიდან დაიწყოთ, მაგალითად, ჩაიდინოთ რაიმე ექსტრავაგანტული, რასაც სხვა დროს არც კი იფიქრებდით. ეს შეცვლის ერთფეროვნებას, რომელიც ასე გტანჯავთ.

## ჯვრები

ისინი საკმაოდ ხშირად გვხვდება. ქალები მათ აფორმებენ, კაცები — არა. ორივე შემთხვევაში ჯვარი დანაშაულის გრძნობას ნიშნავს, ეს უკანასკნელი კი შესაძლოა ტელეფონზე საუბრისას გაირკვეს. რაღაც გამძიმებთ, ან თავად გრძნობთ დანაშაულს, ან მოსაუბრე გადანაშაულებთ. საჭიროა სასწრაფოდ გამოიძიოთ მიზეზი. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ დიდხანს დაიტანჯებით.

## ოთხკუთხედი, სამკუთხედი და სხვა გეომეტრიული ფიგურები

ერთი ნათელია: იოლად ვერავინ გაგაცურებთ. თქვენ მკვეთრად გამოხატული მიზნები და აზრები გაქვთ და ამას არც მალავთ. მობილიზებული ხართ. რაც უფრო მკვეთრია კუთხე, მით უფრო აგრესიული ხართ, თუმცა გარეგნულად ამას ვერ იტყვი. ეს თვისება მალავს თქვენს ფანტაზიას და არ გაძლევთ მოდუნების ნებას. ეცადეთ, საგნებს უფრო მარტივად უყუროთ.

## ჭადრაკული დაფა

როგორც ჩანს, ფრიად რთულ და არასასიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდით. ოცნებობთ ნათელ და იმედიან გზაზე, რომელიც მდგომარეობიდან გამოგიყვანთ. მოცემულ შემთხვევაში არ ღირს რაიმეს დამალვა. თუ ასეთ ფიგურებს ხშირად ხატავთ, ესე იგი, ფარული კომპლექსები გაწუხებთ.

## გადახლართული წრეები

სტაბილურ კავშირზე ფიქრობთ? შესაძლოა. მაგრამ უფრო ხშირად ასეთი ნახატი მიანიშნებს თქვენ სურვილზე მონაწილეობა მიიღოთ რაიმეში. ახლა გგონიათ, რომ გარიყული ხართ; ან გსურთ ვინმეს დაეხმაროთ და არ იცით, როგორ; ან ვილაც წვეულებას იხდის, თქვენ კი არ დაგპატიჟეს. ეცადეთ გამოარკვიოთ, რატომ აღმოჩნდით „თამაშგარე“ მდგომარეობაში და როგორმე გამოასწორეთ ეს.

მოამზადა **ნათია გვასალიამ**
ჟურნალი „ევა“.




რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68;
ცნობებისათვის
96-95-79.

მასალები გადაეცა ასაწყობად 15. 10. 92 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 02. 93 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,8. ტირაჟი 80 000. შეკვ. 2174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოლივუდის კულუარებში



## შვილი მინდა!..

მომხიბლავი და ექსპანსიური ჯულია რობერტსი („მშვენიერი ქალი“) კიდევ ერთხელ იქცა მსოფლიო ილუსტრირებული ჟურნალების, ამჯერად „სკანდალების“ გმირად. ამის მიზეზად ასახელებენ ვინმე ჯოსონს პატრიკ ბუნგალოუს, ერთობ ექსტრავაგანტურ პიროვნებას, რომელმაც მოაჯადოვა მსახიობი მაცდუნებელი დაპირებით, ბავშვს გაგიჩენო. ჯულიმ მიატოვა სამუშაო, — მთავარი როლი კინოდეტექტივში „ჯენიფერი — 8“, გადასახლდა ლოს-ანჯელესში თავის ახალ „რომეოსთან“ და ჯიუტად იმეორებს ყველა ინტერვიუში, რომ სატრფოსთან გაჩენილი ბავშვისათვის მზადაა უარი თქვას ფულზე, დიდებაზე და კინობიზნესზეც კი.

მანამდე კი ცნობილმა კინოვარსკვლავმა არ დაიშურა სტივენ სპილბერგისათვის გამოეთხოვა როლი მის ახალ ფილმში „ჰუკი“ თავისი მეგობრისათვის. ენამწარე ჟურნალისტები იმასაც იხსენებდნენ, რომ ჯულია იგივეს აკეთებდა კიფერ საზერლენდისათვის, რომელზეც თავდავიწყებით იყო შეყვარებული, მაგრამ, სწორედ ქორწილის წინ მიატოვა. როგორც ჩანს, ემოციური მსახიობი ქალი ამგვარად ცდილობს დაიპყროს მამაკაცი, რათა განახორციელოს თავისი დიდი ხნის ოცნება: გააჩინოს ბავშვი საყვარელი მამაკაცისაგან და შექმნას ჰარმონიული ოჯახი.

ბედნიერი სატრფო კი თავის გულისსწორს გადამეტებული გულმოდგინებით იცავს გარეშე თვალთაგან. ერთხელ, როცა ჟურნალისტებმა მოინდომეს ვიდეოზე აღებექდათ წყვილი, ჯოსონმა უბრალოდ კამერა დაუმსხვრია მათ. რეპორტიორები საგონებელში არიან ჩავარდნილნი, ვერ გადაუწყვეტიათ, რას მიაწერონ ამ ახალგამომცხვარი ოტელოს სიშმაგე — მოჭარბებულ ბედნიერებას თუ იმ ქალის დაკარგვის შიშს, რომელმაც ულიმლამო ცხოვრების ფსკერიდან ამოქაჩა და ბრწყინვალე მომავალს უქადის.

## რობინ ჰუდი კინოსა და ცხოვრებაში

უკურნებელი სენით დაავადებული 14 წლის ნიუ-ორლეანელი მოზარდის შონ დანლაპის ერთადერთი სანუკვარი ოცნება იყო გასცნობოდა თავის კერპს, ამერიკელ მსახიობს კევინ კოსტნერს. ავადმყოფი ყმაწვილის მეზობლებმა წერილი მისწერეს კინოვარსკვლავს და გაანდეს შონის ნატვრა. „რობინ ჰუდმა“ წერილის მიღებისთანავე ტელეფონით დაურეკა ბიჭს და პირობა მისცა, რომ უთუოდ მასთან ერთად ნახავდა ამ კეთილშობილ ყაჩაღზე გადაღებულ თავის ბოლო ფილმს. გარდა ამისა, მან თავის ნორჩ თაყვანისმცემელს საჩუქრად გაუგზავნა რობინ ჰუდის ჩანთა, მისი კოსტიუმის აუცილებელი ატრიბუტი.

ფილმის სანახავად და სტუმრის გასაცნობად შონმა ყველა თავისი მეგობარი და ნათესავი მიიწვია. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, რომელიც, სამწუხაროდ, უკანასკნელი გამოდგა ბიჭის ცხოვრებაში, კოსტნერის გამგზავრებიდან ორიოდე დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა. ხოლო რაც შეეხება რობინ ჰუდს, იგი სინამდვილეშიც ისეთივე კეთილშობილი აღმოჩნდა, როგორც კინოში.

უცხოური პრესის მიხედვით
მოამზადა ლია ენუქიძემ

b 147/52

ფასი 10 მანეთი

ინდექსი 76178



ქართული გენია როკვით განფენილი,—
ასე აღმოხდა გრიგოლ რობაქიძეს
ქართული ცეკვის ჯადოქრების
ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის
ანსამბლის ხილვისას.
გასაკვირი იქნებოდა მათ მშვენიერ შვილიშვილს —
ინგა თევზაძის და თენგიზ სუხიშვილის
ქალიშვილს ნინოს ხელოვანთა სახელოვანი ოჯახის
ტრადიცია არ გაეგრძელებინა.

ფოტოზე: დედა-შვილი ინგა თევზაძე და ნინო სუხიშვილი